THE POWER OF BEING UNDERSTOOD
ASSURANCE | TAX | CONSULTING

RSM

RSM საქართველო

2025 წლის გამჭირვალობის ანგარიში

გამოქვეყნების თარიღი:
აპრილი, 2026

The biggest opportunities are found by paying attention to the smallest details.

სარჩევი

5 მენეჯმენტის მიმართვა

9 RSM საქართველო, როგორც RSM ქსელის წევრი

23 ხარისხის უზრუნველყოფა და რისკების ზედამხედველობა

45 ფინანსური ინფორმაცია და საქმიანობის შედეგები

49 გლობალური წარმომადგენლობა



წინასიტყვაობა

მმართველი პარტნიორის მიმართვა

Our expertise drives assurance. Our commitment builds trust.

წარმოგიდგენთ RSM საქართველოს 2025 წლის გამჭირვალობის ანგარიშს

მოხარული ვარ, წარმოგიდგინოთ RSM საქართველოს 2025 წლის ანგარიში, რომელიც მოიცავს პერიოდს 2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. აღნიშნული ანგარიში ასახავს ჩვენს ურყევ ერთგულებას გამჭვირვალობის, ეთიკური საქმიანობისა და ანგარიშვალდებულებისადმი.

როგორც RSM-ის ქსელის ღირებული წევრი, ერთგულად ვისწრაფვით ნდობასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებული ძლიერი ურთიერთობების ჩამოყალიბებისკენ ჩვენს კლიენტებთან, პარტნიორებთან, თანამშრომლებთან და ფართო საზოგადოებასთან.

ჩვენმა ფირმამ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაში, კარიერული შესაძლებლობების გაფართოებასა და შიდა შესაძლებლობების გაძლიერებაში. ჩვენ კვლავაც ვრჩებით ერთგული თანასწორი, ღია და მხარდამჭერი გარემოს შექმნისა, სადაც თითოეულ ადამიანს აქვს შესაძლებლობა განვითარდეს და სრულად გამოავლინოს თავისი პოტენციალი.

განვითარების უწყვეტ პროცესში გვესმის, რამდენად მნიშვნელოვანია მოქნილობა და სწრაფი რეაგირება როგორც კლიენტების მოლოდინებზე, ისე გლობალურ ცვლილებებზე. განსაკუთრებით გვახარებს ის პროგრესი, რომელსაც მივაღწიეთ - ახალი ტექნოლოგიების დანერგვა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით და ჩვენი თანამშრომლების პროფესიული განვითარება. ეს ნაბიჯები ჩვენი სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც გვაძლევს შესაძლებლობას შევინარჩუნოთ აქტუალობა, გავაღრმაოთ ურთიერთობები და შევქმნათ კომპანია, რომელიც რეალურად უწყობს ხელს კლიენტებისა და საზოგადოების განვითარებას.

ჩვენი საქმიანობის მთავარ ფუნდამენტს წარმოადგენს მარტივი, მაგრამ ძლიერი იდეა: „როდესაც თქვენი ზუსტად ესმით -The Power of Being Understood“, რაც გულისხმობს კლიენტთა მოთხოვნების მოსმენას, გააზრებასა და გააზრებულ მოქმედებას, რაც საბოლოოდ განსაზღვრავს ჩვენს გადაწყვეტილებებსა და საქმიანობის მიმართულებას.

საქმიანი გარემო სწრაფად იცვლება და ვითარდება. ხარისხი და ინფორმაციის უსაფრთხოება კი კვლავ ჩვენი საქმიანობის მთავარ პრიორიტეტებად რჩება, აგრეთვე სრულად ვართ ორიენტირებულნი ISO 27001 სერტიფიკატის შენარჩუნებაზე, რაც ასახავს მონაცემთა დაცვისა და ინფორმაციული უსაფრთხოების უმაღლესი სტანდარტებისადმი ჩვენს ერთგულებას. ბიზნესის, რეგულაციებისა და ტექნოლოგიური გარემოს მუდმივი ცვლილებების და განვითარების პირობებში, მუდმივად ვრჩებით უსაფრთხოების, დამოუკიდებლობის, შესაბამისობისა და პროფესიული სკეპტიციზმის ერთგულნი, პრინციპების, რომლებიც ფუნდამენტურია ფინანსურ ინდუსტრიაში ნდობისა და კეთილსინდისიერების შესანარჩუნებლად.

ჩვენთვის წარმატება მხოლოდ ზრდით არ იზომება, ის იმ გავლენაშიც აისახება, რომელსაც გარშემო მყოფებზე ვახდენთ. ამასთანავე ვაფასებ ჩვენი პარტნიორებისა და თითოეული თანამშრომლის მიერ გაწეულ შრომას, რომლებმაც თავიანთი ერთგულებითა და მონდომებით შესაძლებელი გახადეს ჩვენი წარმატება. მომავალშიც ერთგულად გავაგრძელებთ განვითარებაზე ზრუნვას, მაღალი პროფესიული სტანდარტების დაცვას და ისეთი პოზიტიური გავლენის შექმნას, რომელიც სასარგებლოა როგორც ჩვენი პროფესიისთვის, ისე საზოგადოებისთვის.

გიორგი კვინიკაძე
RSM საქართველოს მმართველი პარტნიორი

აუდიტის & მარწმუნებელი მომსახურების მიმართულების ხელმძღვანელის/პარტნიორის მიმართვა

როგორც აუდიტორებს, გვაკისრია პასუხისმგებლობა, დავიცვათ დამოუკიდებლობის, კეთილსინდისიერებისა და პროფესიონალიზმის უმაღლესი სტანდარტები

RSM საქართველოს მისია აუდიტის ხარისხზეა დაფუძნებული. როგორც სანდო მრჩევლები, ჩვენ ვიცავთ ეთიკური ლიდერობისა და პროფესიული სკეპტიციზმის უმაღლეს სტანდარტებს. ჩვენ გვჯერა, რომ აუდიტი უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ ფორმალური დასტური, მან უნდა უზრუნველყოს გამჭვირვალობა და ის ხედვები, რომლებიც აუცილებელია ჯანსაღი მმართველობისთვის. მარეგულირებელი ორგანოებისა და დაინტერესებული მხარეების მხრიდან მზარდი მოლოდინების ფონზე, კომპანიაში ვქმნით მაღალხარისხიან აუდიტორულ მომსახურებას, რაც ბიზნესს აძლევს იმ საიმედოობის გარანტიას, რომელიც თანამედროვე, გამოწვევებით სავსე გლობალურ ბაზარზე წარმატებისთვისაა საჭირო.

ხარისხის უზრუნველყოფისადმი ერთგულება

აუდიტის ხარისხი უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ შესაბამისობა - ის წარმოადგენს უწყვეტი გაუმჯობესებისა და ეთიკური სტანდარტების დაცვის კულტურას. კომპანიაში ISQM 1-ის სრულად დანერგვით გავამლიერეთ ხარისხის მართვის სისტემა, რათა უზრუნველყოთ, რომ თითოეული გარიგება პასუხობდეს უმაღლეს პროფესიულ სტანდარტს. მიმდინარე მიმოხილვებისა და მიზნობრივი ტრეინინგების მეშვეობით, ჩვენს გუნდს საშუალებას ვაძლევთ, გაეცნონ მარეგულირებელ ცვლილებებსა და ინდუსტრიის ტენდენციებს, რაც უზრუნველყოფს ჩვენი კლიენტების მიერ სანდო აუდიტის მომსახურების მიღების შესაძლებლობას.

ინვესტირება თანამშრომლების განვითარებაში

ჩვენი უმთავრესი აქტივი არა სამუშაო პროცესი, არამედ თავად ჩვენი თანამშრომლებია. უწყვეტი სწავლებისა და პრაქტიკული მენტორინგის მეშვეობით ვზრუნავთ, რომ გუნდის თითოეულ წევრს ჰქონდეს ყველა საჭირო ინსტრუმენტი პიროვნული და პროფესიული ზრდისთვის. კრიტიკული აზროვნების განვითარებითა და პროფესიული სკეპტიციზმის კულტურის ჩამოყალიბებით ვეხმარებით ჩვენს აუდიტორებს, იქცნენ გამოცდილი სპეციალისტებიდან დარგის ლიდერებად.

ამასთანავე, ვაცნობიერებთ სამუშაოსა და პირად ცხოვრებას შორის ბალანსის მნიშვნელობას, რითაც უზრუნველვყოფთ, რომ ჩვენი თანამშრომლები პროფესიულ გზაზე თავს დაფასებულად და მოტივირებულად გრძნობდნენ.

ინოვაციების დანერგვა

აუდიტის სფეროს განვითარებასთან ერთად, RSM საქართველო ამ ტრანსფორმაციის წინა ხაზზეა. მიუხედავად იმისა, რომ აუდიტის ფუნდამენტური პრინციპებისადმი ჩვენი ერთგულება ურყევია, მუდმივად ვნერგავთ უახლეს ტექნოლოგიებსა და მოწინავე ციფრულ პლატფორმებს ჩვენს სამუშაო პროცესში. ადამიანური გამოცდილებისა და ციფრული ინოვაციების ჰარმონიული შერწყმით ვაუმჯობესებთ ჩვენი ანალიზის სიზუსტეს და მაღალ საფეხურზე აგვყავს მომსახურების ეფექტურობა.

ამავდროულად გვჯერა, რომ ტექნოლოგია არ ემსახურება პროფესიული განსჯის ჩანაცვლებას, არამედ ავსებს და ამდიდრებს მას. ჩვენი გამოცდილი აუდიტორები აღნიშნულ ინსტრუმენტებს იყენებენ უფრო ღრმა ანალიზის, რისკების მინიმიზაციისა და ჩვენს მიერ მომსახურე ბიზნესებისთვის ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების ხელშესაწყობად.

მომავლის ხედვა

სამომავლოდ ჩვენს მთავარ პრიორიტეტად კვლავ რჩება უმაღლესი ხარისხის აუდიტის ჩატარება, დამოუკიდებლობის დაცვა და საზოგადოებრივი ინტერესის კეთილსინდისიერად მომსახურება. ამასთანავე, ვაგრძელებთ თანამშრომლობას მარეგულირებელ ორგანოებთან, ბიზნესებთან და დაინტერესებულ მხარეებთან, რათა გავზარდოთ ნდობა და გამჭვირვალობა ფინანსური ანგარიშგების მიმართ. ჩვენი ურყევი ერთგულება ხარისხის, ეთიკისა და ანგარიშვალდებულების მიმართ კვლავ იქნება ჩვენი გზის ჩამოყალიბების ფუნდამენტი მომავალ წლებში.

2025 წლის გამჭვირვალობის ანგარიში აუდიტის ხარისხისადმი ჩვენი ურყევი ერთგულებისა და მუდმივი განვითარების დასტურია. გვსურს, გულწრფელი მადლობა გადავუხადოთ ჩვენს კლიენტებს, მარეგულირებელ ორგანოებსა და გუნდის თითოეულ წევრს გამოცხადებული ნდობისა და პარტნიორობისთვის. ჩვენ ვაგრძელებთ საქმიანობას, რათა მომავალშიც უზრუნველვყოთ ბაზრისთვის სანდო და მაღალი ხარისხის აუდიტორული მომსახურების მიწოდება

ალი მურტზა

პარტნიორი, აუდიტის & მარწმუნებელი მომსახურების მიმართულების ხელმძღვანელი



RSM საქართველო, როგორც RSM-ის ქსელის წევრი

RSM საქართველო

RSM საქართველო ოპერირებს RSM-ის გლობალური ქსელის სტანდარტების სრული დაცვით და სისტემატურად ინარჩუნებს მაღალ მაჩვენებლებს როგორც შიდა, ისე გარე ხარისხის მონიტორინგის შეფასებების ფარგლებში.

თბილისში (მთავარი ოფისი) მდებარე ჩვენი კომპანია აერთიანებს 61-ზე მეტ პროფესიონალს, მათ შორის 2 პარტნიორს, რომლებიც ერთობლივად ზრუნავენ მაღალი ხარისხსა და ინდივიდუალურ მიდგომაზე დაფუძნებული მომსახურების მიწოდებაზე.

RSM საქართველოში ვამაყობთ ადამიანებზე ორიენტირებული მიდგომით, სადაც მრავალფეროვნება და ინკლუზიურობა ჩვენი კორპორაციული კულტურის მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს.

ჩვენი ერთგულება პროფესიული სრულყოფილებისადმი კიდევ უფრო მკაფიოდ გამოიხატება ჩვენი აქტიური ჩართულობით საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტის (ICPAC) საქმიანობაში, სადაც ჩვენს წარმომადგენლებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ პროფესიის განვითარების მომავლის ფორმირებაში საქართველოში.
წლების განმავლობაში, ჩვენს კომპანიას მიღებული აქვს არაერთი პრესტიჟული ჯილდო და აკრედიტაცია, რაც კიდევ უფრო ამყარებს ჩვენი კომპანიის, როგორც რეგიონში პროფესიული მომსახურების ერთ-ერთი წამყვანი მომწოდებლის პოზიციას.

ჩვენი მომსახურებები

- აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება- ვახორციელებთ დამოუკიდებელ, მაღალი ხარისხის აუდიტსა და მარწმუნებელ მომსახურებებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რაც ხელს უწყობს გამჭვირვალობის, ნდობისა და შესაბამისობის გაძლიერებას.

გადასახადები – კლიენტებს ვთავაზობთ სტრატეგიულ საგადასახადო დაგეგმვას, დღგ-ს საკონსულტაციო მომსახურებებსა და შესაბამისობის უზრუნველყოფის გადაწყვეტილებებს, რომლებიც მორგებულია ბიზნესის ინდივიდუალურ საჭიროებებზე

- საკონსულტაციო მომსახურებები- ვთავაზობთ პროფესიონალურ ბიზნეს-კონსულტაციას, რისკების მართვისა და ფინანსურ საკონსულტაციო მომსახურებებს რაც ხელს უწყობს ორგანიზაციების ზრდასა და ოპერაციული ეფექტიანობის გაუმჯობესებას
- ბუღალტრული აღრიცხვა და აუთსორსინგი – ვუწევთ მხარდაჭერას ბიზნესებს ინდივიდუალურად მორგებული ბუღალტრული აღრიცხვის, სახელფასო ადმინისტრირებისა და ფინანსური ანგარიშგების მომსახურებების მეშვეობით.
- რეორგანიზაცია და რესტრუქტურიზაცია – ვუწევთ კომპანიებს მიიზნობრივ მხარდაჭერას ფინანსური რესტრუქტურიზაციის პროცესში, რეორგანიზაციის გეგმების შემუშავებასა და გადახდისუუნარობის საკითხების ეფექტიან გადაწყვეტაში.

ჩვენი გამოცდილება მოიცავს ფართო სპექტრს: საცალო და საბითუმო ვაჭრობა, სასტუმრო და სერვისის ინდუსტრია, გადაზიდვებს, პროფესიულ მომსახურებებს, საქართველოს საინვესტიციო კომპანიებს, საზოგადოებრივი დაინტერესების პირებსა და მრავალეროვნულ კორპორაციებს, რაც უზრუნველყოფს, რომ თითოეულმა კლიენტმა მიიღოს მის საჭიროებებზე მორგებული გადაწყვეტილებები.

RSM საქართველოში ვაერთიანებთ პროფესიონალიზმსა და ინდივიდუალურ მიდგომას, რაც ბიზნესებს ეხმარება წარმატებით განვითარდეს მუდმივად ცვალებად გარემოში.

Experience The Power of Being Understood.

„Being Understood“- როდესაც თქვენი ზუსტად ესმით - გულისხმობს თავდაჯერებულობას. როდესაც კლიენტები თანამშრომლობენ RSM-თან, ისინი მუშაობენ პროფესიონალებთან, რომლებიც დროს უთმობენ მათ სიღრმისეულად გაცნობას, სთავაზობენ მათ გარემოზე მორგებულ იდეებსა და ხედვებს და ერთგულად ეხმარებიან მომავლის შესახებ თავდაჯერებული გადაწყვეტილებების მიღებაში. ეს არის „Being Understood“-ის ძალა.



The depth of insight and understanding we bring can make all the difference.

RSM

RSM Global's vision for 2030

As the leading provider of professional services to the middle market, our vision is to be known globally for delivering innovative solutions, lasting value and confidence.

RSM differentiates through a deeply personalised and rich client experience that instills confidence, and harnesses our collective global insight and technological strength.

Our **highly interconnected** organisation embraces change and grows at a fast pace. RSM Malta takes pride in its people, and instigates energy for growth, both personally and professionally.

We deliver a **collaborative and agile response** to client needs based on **deep understanding** and **digital innovation**. Our **compelling, data-integrated solutions** are highly attractive to sophisticated clients, domestically and internationally.

We are inspiring, inclusive, entrepreneurial and forward-thinking, known for creating **positive, lasting impact**, and being focused on the issues that matter most to our People, Clients and Communities.

Our aim is to act and be perceived as one global organisation that is inspiring, contemporary and forward-looking.

Ideal client profile

Growth-orientated, internationally-minded companies looking for close, long-standing relationships, where we have an opportunity to be strategic advisers and deliver multiple high-value services.

Ideal talent profile

People who are caring, curious, collaborative, courageous, and critical thinkers, from a diverse range of backgrounds, that want to live our shared values and make an impact.

Our values

RESPECT

Treat others as we would like to be treated

We display respect in each interaction with:

clients
employees
partners
environment

INTEGRITY

Do the right thing and uphold professional standards

We stay true to our beliefs:

in decisions
in negotiations
in communications

INNOVATION

Generate solutions that create value

We generate solutions to meet:

new requirements
unarticulated needs
market developments

TEAMWORK

Work together effectively

We cultivate genuine collaboration:

in work groups
across member firms
across functions
amongst leaders

EXCELLENCE

Be the best at everything we do

We achieve distinction through:

our standards
our operations
the work we deliver

By working together, creating deep insights, combining world-class technology and real-world experience, we deliver understanding that's unmatched, and confidence that builds.

For a changing world.
For the future.
For all.

იურიდიული სტრუქტურა, საკუთრება და მმართველობა

იურიდიული სტრუქტურა და მმართველობა

RSM საქართველო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულია, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. შპს „არესემ საქართველო“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 202449207, ყოფილი „კაპტო ჯგუფი“) საქართველოში ოპერირებს 2008 წლიდან. კომპანია აერთიანებს 100-ზე მეტ პროფესიონალს და ფლობს ორ ოფისს ქვეყნის მასშტაბით- თბილისსა და ქუთაისში.
RSM საქართველო საქმიანობს საქართველოს ბაზარზე. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, კომპანია რეგისტრირებულია აუდიტორული ფირმებისა და აუდიტის განხორციელებაზე უფლებამოსილი პირების სახელმწიფო რეესტრში. RSM საქართველო ასევე უფლებამოსილია განახორციელოს საზოგადოებრივი დაინტერესების პირის სტატუსის მქონე (PIE) საწარმოთა ფინანსური ანგარიშგებების აუდიტი.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ხელმძღვანელობს ორი პარტნიორი და საქმიანობას ახორციელებს ძირითად დეპარტამენტებზე დაყრდნობით, რომელთაგან თითოეული სპეციალიზებულია პროფესიული მომსახურების განსხვავებულ მიმართულებებში: აუდიტი და მარწმუნებელი გარიგებები, გადასახადები და საკონსულტაციო მომსახურებები, ბუღალტრული აღრიცხვა და იურიდიული მომსახურება.

შვილობილი საწარმო
RSM საქართველო სრულად აკონტროლებს საკუთარ ერთადერთ შვილობილ საწარმოს, შპს „არესემ საქართველო სოლუშენსს“.
RSM საქართველო სოლუშენსი სპეციალიზებულია ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ბიზნეს-გადაწყვეტილებების მიწოდებაში და ძირითადად ფოკუსირებულია SAP-ის დანერგვაზე, IT კონსულტაციებსა და სისტემების ინტეგრაციის მომსახურებებზე.

საკუთრება და მმართველობა
RSM საქართველოს წარმოადგენს და მართავს კომპანიის დირექტორი, გიორგი კვინიკაძე, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს კომპანიის საქმიანობისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის გადაწყვეტილებები.

გიორგი კვინიკაძე ასევე წარმოადგენს RSM საქართველოს ძირითად (80%) მეწილეს, ხოლო ალი მურტზა ფლობს 20%-იან წილს კომპანიაში.

კომპანიაში შექმნილია ორი შიდა მმართველობითი ორგანო: ადამიანური რესურსების (HR) კომიტეტი და აღმასრულებელი კომიტეტი.

აღმასრულებელი კომიტეტი პასუხისმგებელია კომპანიის სტრატეგიული და ოპერაციული გეგმების შემუშავებასა და განხორციელებაზე, მიმდინარე და პოტენციური რისკების შეფასებასა და მართვაზე, RSM-ის მთლიანობის, ბრენდისა და რეპუტაციის დაცვაზე, აგრეთვე სხვა შესაბამისი ფუნქციების შესრულებაზე.

პარტნიორთა ანაზღაურების პოლიტიკა

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ჰყავს ორი პარტნიორი: ალი მურტზა და გიორგი კვინიკაძე. ორივე მათგანი სერტიფიცირებული ბუღალტერია და წარმოადგენენ საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის წევრებს.

კომპანიის პარტნიორთა ანაზღაურების მოდელი შემუშავებულია როგორც ფინანსური, ასევე არაფინანსური მაჩვენებლების ასახვის გზით, რაც უზრუნველყოფს დაბალანსებულ მიდგომას. პარტნიორთა ანაზღაურების განსაზღვრის ძირითად ელემენტებს წარმოადგენს:

- ხელმძღვანელობითი პასუხისმგებლობები- ანაზღაურება ითვალისწინებს პარტნიორის კონკრეტულ როლს, როგორიცაა მმართველი პარტნიორი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი ან ფუნქციური მიმართულების ხელმძღვანელი.
- შეფასება შესრულების მიხედვით – პარტნიორის წვლილი ფასდება როგორც კომპანიის საერთო შედეგებზე მისი გავლენის მიხედვით, ასევე მისი ზემდგომისა და კოლეგების შეფასებებით, რაც მოიცავს ლიდერობის ეფექტიანობას, თანამშრომლობის ხარისხსა და პროფესიულ ქცევას.
- აუდიტის ხარისხი და შესაბამისობა – კომპანიაში მოქმედებს აუდიტის ხარისხის მკაცრი კონტროლის სისტემა და პარტნიორები ფასდებიან ხარისხის სტანდარტებთან, მარეგულირებელი მოთხოვნებისა და ეთიკური ნორმების შესაბამისობის მიხედვით.
- კაპიტალში მონაწილეობა – ანაზღაურება ასევე ითვალისწინებს პარტნიორის წილს კომპანიის კაპიტალში, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში კავშირშია კომპანიის საერთო წარმატებასა და მდგრად განვითარებასთან.

გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ერთგულებით RSM საქართველო უზრუნველყოფს, რომ მისი მმართველობითი და ანაზღაურების პოლიტიკები სრულად ემსახურებოდეს კომპანიის მისიას - მიაწოდოს კლიენტებს მაღალი ხარისხის მომსახურება, დაიცვას ეთიკური სტანდარტები და გააძლიეროს კლიენტებსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის ნდობა.

მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი გლობალური ქსელი

თანამშრომლები

ჩვენი ფირმის მთავარი ღირებულება ჩვენი თანამშრომლები არიან. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საუკეთესო კადრების შერჩევას, მათ განათლებასა და განვითარებას, აგრეთვე კვალიფიციური თანამშრომლების შენარჩუნებას.

RSM-ის ყველა თანამშრომელი არა მხოლოდ აკმაყოფილებს უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) მოთხოვნებს, არამედ იძენს იმ თანამედროვე, პრაქტიკულ და ღირებულ ცოდნასა და უნარებს, რომლებიც აუცილებელია პროფესიული საქმიანობის ეფექტიანად წარმართვისთვის.

ინფორმაციული უსაფრთხოება
RSM International და RSM-ის ყველა წევრი ფირმა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მონაცემთა და ინფორმაციის უსაფრთხოებას, რათა კლიენტებისა და თანამშრომლების მონაცემები მუდმივად იყოს დაცული. RSM International-ს დანერგილი აქვს საერთაშორისო დონეზე აღიარებული ISO 27001 ინფორმაციული უსაფრთხოების სტანდარტი, ხოლო წევრი ფირმები აქტიურად მუშაობენ ამ სტანდარტის სრულ შესაბამისობაში მოყვანაზე.

ციფრული უნარების განვითარება და ტექნოლოგიური ინოვაცია გულისხმობს ცნობისმოყვარეობასა და ცვლილებას. RSM ხელს უწყობს ინოვაციური კულტურის განვითარებასა და არსებული პრაქტიკების გადახედვას ექსპერიმენტული ტექნოლოგიური ცენტრების, ციფრული უნარების განვითარების პროგრამების, იდეების გენერირების ღონისძიებებისა და სტრატეგიული ბიზნეს პარტნიორობების მეშვეობით.
ინოვაციური იდეების დანერგვა და ტექნოლოგიური შესაძლებლობების გაფართოება უზრუნველყოფს შეთავაზებული მომსახურებებისა და პროდუქტების ეფექტიანობასა და ტრანსფორმაციას, ამავდროულად ქმნის კონკურენტულ უპირატესობას ბაზარზე და ამცირებს ხარჯებს, რაც საშუალებას გვაძლევს შევინარჩუნოთ კონკურენტული ფასები.

65,000 ადამიანი 120 ქვეყანაში გაძლევთ ცვლილებების თავდაჯერებულად მართვის შესაძლებლობას.

RSM-ის ქსელი

RSM საქართველო წარმოადგენს მსოფლიოში მე-6 უმსხვილესი გლობალური ქსელის, RSM International-ის წევრ ფირმას, რომელიც აერთიანებს დამოუკიდებელ აუდიტის, საგადასახადო და საკონსულტაციო კომპანიებს.

RSM-ის ქსელი წევრ ფირმებს აერთიანებს ერთიანი მეთოდოლოგიებისა და პროცესების საფუძველზე, რაც მოიცავს საერთაშორისოდ შეთანხმებულ და ერთგვაროვნად დანერგილ ხარისხის სტანდარტებს.

ეს კავშირი RSM-ის წევრი ფირმების პარტნიორებსა და მათ კლიენტებს აძლევს ნდობას, რომ კლიენტებისთვის გაწეული მომსახურება და კონსულტაცია მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში იქნება ერთნაირად მაღალი ხარისხის.

სამართლებრივი სტრუქტურა და საკუთრება

RSM International Limited წარმოადგენს გარანტიით შეზღუდულ კომპანიას და რეგისტრირებულია ინგლისსა და უელსში (საიდენტიფიკაციო ნომერი: 4040598). მისი რეგისტრირებული მისამართია: ქენონ სტრიტი 50, ლონდონი, EC4N 6JJ.

RSM International Limited თავად არ უწევს კლიენტებს პროფესიულ მომსახურებას და მოქმედებს, როგორც წევრი ფირმების მხარდამჭერი ორგანიზაცია. კლიენტებისთვის მომსახურება ხორციელდება RSM International-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების მიერ. წევრი ფირმები არ წარმოადგენენ საერთაშორისო პარტნიორობის წევრებს და ერთმანეთთან არ იმყოფებიან იურიდიულ პარტნიორობაში. მათ არ გააჩნიათ საერთო საკუთრება და არც ისინი არიან RSM International Limited-ის მფლობელობაში.

RSM წარმოადგენს ბრენდს, რომელსაც იყენებს დამოუკიდებელი საბუღალტრო და საკონსულტაციო ფირმების ქსელი. ქსელის თითოეული წევრი არის იურიდიულად დამოუკიდებელი და განცალკევებული კომპანია. აღნიშნული ბრენდი ეკუთვნის RSM International Association-ს, ხოლო ქსელის მართვას ახორციელებს RSM International Limited. არც RSM International Limited და არც RSM International Association არ ახორციელებენ საბუღალტრო ან საკონსულტაციო მომსახურებას.

RSM International თავად არ წარმოადგენს ცალკე იურიდიულ პირს არცერთ იურისდიქციაში. თითოეული წევრი ფირმა დამოუკიდებელია და თავად არის პასუხისმგებელი საკუთარ ვალდებულებებზე.
RSM International-ის წევრი ფირმები განიხილებიან ფირმების ფორუმის (Forum of Firms) სრულუფლებიან წევრებად, მათი RSM International-ში წევრობის საფუძველზე.

მენეჯმენტი, მმართველობა და ლიდერობა

RSM International Limited იმართება RSM International-ის საბჭოს მიერ. აღნიშნული საბჭო პასუხისმგებელია ქსელის სტრატეგიის შემუშავებაზე, დამტკიცებასა და მისი განხორციელების ზედამხედველობაზე, წევრობის მოთხოვნებზე ზედამხედველობაზე, მათ შორის ახალი წევრების მიღებისა და წევრობის შეწყვეტის დამტკიცებაზე; ეთიკისა და დამოუკიდებლობის მოთხოვნების კონტროლსა და საერთაშორისო ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე, ასევე ქსელის ბიუჯეტებისა და ოპერაციული გეგმების დამტკიცებაზე.

RSM International-ის საბჭო ინიშნება სამი წლის ვადით, რის შემდეგაც მის წევრებს ხელახლა არჩევის უფლება ეძლევათ.

RSM International-ის აღმასრულებელი დირექტორი (CEO) ინიშნება RSM International-ის საბჭოს მიერ და ანგარიშვალდებულია მის წინაშე. CEO-ს ეკისრება ქსელის სტრატეგიის განხორციელების ხელმძღვანელობა და მისი განვითარებისა და ზრდის უზრუნველყოფა წევრი ფირმების ინტერესების გათვალისწინებით.

2024 წლის 1 ივნისიდან, ე.ჯ. ნედერმა RSM International-ის აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე (CEO) ჯინ სტივენსი შეცვალა. აღმასრულებელი დირექტორი ხელმძღვანელობს გლობალურ აღმასრულებელ ოფისს (Global Executive Office – GEO), რომელიც წარმოადგენს ცენტრალურ საერთაშორისო გუნდს და დაფუძნებულია ლონდონში.

GEO პასუხისმგებელია RSM-ის რეგიონების, კომიტეტებისა და ინდუსტრიული ჯგუფებისთვის სტრატეგიული ხელმძღვანელობის უზრუნველყოფაზე, ასევე თითოეული წევრი ფირმის მხარდაჭერაზე, რათა მათ სრულად გამოიყენონ RSM-ის ქსელის შესაძლებლობები ზრდისა და წარმატების მისაღწევად.
თავისი ფუნქციების ფარგლებში, GEO უზრუნველყოფს ქსელის გეოგრაფიული გაფართოების შენარჩუნებასა და განვითარებას, აკონტროლებს RSM-ის ფინანსურ მდგრადობას, მართავს და ახორციელებს წევრი ფირმებისთვის გლობალურ ინსპექტირების პროგრამებს და ზედამხედველობს ქსელის ეთიკისა და დამოუკიდებლობის პოლიტიკებთან შესაბამისობას.

RSM Orb წარმოადგენს აუდიტის მეთოდოლოგიას, რომელიც შემუშავებულია და იმართება GEO-ს მიერ და უნივერსალურად გამოიყენება RSM-ის ქსელში.

ფირმათა ფორუმის წევრობა

RSM International არის ფირმების ფორუმის წევრი, რომელიც წარმოადგენს ტრანსნაციონალური აუდიტის განმახორციელებელი ბუღალტრული ფირმების საერთაშორისო ქსელების ასოციაციას.

RSM აქტიურად უჭერს მხარს ფირმათა ფორუმის მიზნებს, რომლებიც გულისხმობს ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის პრაქტიკის ერთგვაროვანი და მაღალი ხარისხის სტანდარტების განვითარებას მსოფლიო მასშტაბით, აგრეთვე ეროვნული აუდიტისა და სხვა სტანდარტების დაახლოებას აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან (ISA).

დაფინანსება

RSM International-ის ქსელის კოორდინაციის ხარჯები ფინანსდება წევრი ფირმების მიერ. ყოველწლიურად საერთაშორისო დირექტორთა საბჭო ამტკიცებს მომდევნო წლის ბიუჯეტს.

ბიუჯეტით გათვალისწინებული შემოსავლების თითქმის სრულად მიღება ხდება წევრი ფირმების მიერ გადახდილი წლიური საწევრო გადასახადისგან. აღნიშნული საფასური განისაზღვრება დამტკიცებული დაფინანსების ფორმულის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს რიგ ფაქტორებს, მათ შორის წევრი ფირმების შემოსავლებსა და მათ მიერ მიღებული წმინდა რეფერალური საკომისიოების მოცულობას.

გარდა ამისა, ქსელში მოქმედი „დახარჯული საათების“ (contributed hours) მოდელის ფარგლებში, წევრი ფირმები, მათი ზომის შესაბამისად, ვალდებულნი არიან ყოველწლიურად გამოყონ გარკვეული რაოდენობის საათები გლობალური ქსელის მხარდასაჭერად, საკუთარი რეგიონების ფარგლებს გარეთ.

ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება სტატიების მომზადების, ინსპექტირების განხორციელების, ტრენინგების ჩატარებისა თუ სხვა აქტივობების მეშვეობით ზრდის როგორც ჩართული ინდივიდების, ასევე მათი წევრი ფირმების ხედვას და ამავდროულად ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობასა და ქსელის ფარგლებში ერთიანობის გაძლიერებას.
.

წევრი ფირმების მოლოდინები

ყველა წევრი ფირმის მიერ რეგიონების მასშტაბით ერთგვაროვნად მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდების უზრუნველსაყოფად განსაზღვრულია გარკვეული კრიტერიუმები, რომლებიც მიზნად ისახავს თითოეული წევრის ხედვისა და სტრატეგიის ქსელის საერთო ხედვასა და სტრატეგიასთან თანხვედრას.
ამასთან, თითოეულ წევრს ეძლევა შესაძლებლობა შეინარჩუნოს საკუთარი იდენტობა, რომელიც შეესაბამება ადგილობრივ კულტურას, და ამავე დროს, ქსელისა და მისი კლიენტების საჭიროებებს უპასუხოს უმაღლესი ხარისხის სტანდარტების დაცვით.

RSM-ის წევრი ფირმები წევრობის მოთხოვნის ფარგლებში იღებენ და ერგებიან განსაზღვრულ პოლიტიკებსა და პროცედურებს, ამასთანავე მათ აქვთ შესაძლებლობა დანერგონ საკუთარი დამატებითი წესებიც. საერთო პოლიტიკებსა და პროცედურებს შორისაა:

- RSM-ის ხარისხის უზრუნველყოფისა და რისკების მართვის სისტემა
- RSM Orb აუდიტის მეთოდოლოგია
- RSM-ის ეთიკისა და დამოუკიდებლობის პოლიტიკები
- RSM-ის წევრი ფირმების ინსპექტირების პროგრამის პოლიტიკები და სახელმძღვანელოები
- RSM-ის ანტიკორუფციული და ქრთამის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკები და პროცედურები
- RSM-ის IT და მონაცემთა უსაფრთხოებისა და კონფიდენციალურობის პოლიტიკები
- RSM-ის სანქციების პოლიტიკა

ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის მიმართ საერთაშორისო ნდობის უზრუნველსაყოფად, RSM აღიარებს ISO 27001 ინფორმაციული უსაფრთხოების სტანდარტს.

მსოფლიოს მასშტაბით წევრი ფირმები აქტიურად მუშაობენ ISO 27001 სერტიფიკაციის შენარჩუნებაზე, რათა ოფიციალურად დაადასტურონ კლიენტებისა და თანამშრომლების მონაცემების კონფიდენციალურობა, ხელმისაწვდომობა და მთლიანობა

RSM-ის გლობალური ხარისხის კომიტეტი

ხარისხი წარმოადგენს RSM International-ის საქმიანობის საფუძველს და თითოეული წევრი ფირმა ვალდებულია მკაცრად დაიცვას ხარისხთან დაკავშირებული მოთხოვნები.

იმის უზრუნველსაყოფად, რომ ხარისხთან დაკავშირებულ საკითხებს მიენიჭოს სათანადო ყურადღება და შენარჩუნდეს მუდმივად მაღალი პროფესიული სტანდარტები, საბჭომ შექმნა გლობალური ხარისხის კომიტეტი (GQC).
როგორც საბჭოს ქვეკომიტეტი, GQC ახორციელებს ზედამხედველობას და ამზადებს რეკომენდაციებს საბჭოს მიერ განსახილველად და დასამტკიცებლად. თუმცა, იგი არ იღებს მენეჯერულ ფუნქციებს, რომლებიც რჩება აღმასრულებელი დირექტორის (CEO), ოფიცრებისა და უფროსი მენეჯმენტის პასუხისმგებლობის ფარგლებში.

მისი საქმიანობის წესდების შესაბამისად, გლობალური ხარისხის კომიტეტი (GQC) შედგება RSM-ის წევრი ფირმებიდან შერჩეული ხუთიდან ცხრამდე მაღალკვალიფიციური და გამოცდილი პარტნიორისგან ან მათთან გათანაბრებული პროფესიონალებისგან, რომლებიც ინიშნებიან საბჭოს მიერ.
კომიტეტის სტრუქტურა უზრუნველყოფს RSM-ის სხვადასხვა რეგიონების წარმომადგენლობას, რაც მრავალფეროვანი და დაბალანსებული ხედვის შენარჩუნებას უწყობს ხელს

კომიტეტის თავმჯდომარეს საბჭო ირჩევს GQC-ის წევრთაგან და იგი ინიშნება სამი წლის ვადით, ხელახალი დანიშვნის შესაძლებლობით.

ქსელის მასშტაბით თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად, RSM International-ს დანერგილი აქვს გლობალური მეთოდოლოგიების, პოლიტიკებისა და პრაქტიკების ერთიანი სისტემა, რომელიც შესაბამის შემთხვევებში თავსებადია საერთაშორისო სტანდარტებთან.
აღნიშნული ჩარჩოები შემუშავებულია წევრი ფირმებისა და გლობალური აღმასრულებელი ოფისის სპეციალისტებისა და ლიდერების მიერ, გლობალური ხარისხის კომიტეტის (GQC) ზედამხედველობის ქვეშ.

RSM-ის ეთიკა და დამოუკიდებლობა
RSM იცავს მკაცრ ეთიკისა და დამოუკიდებლობის პოლიტიკას, რომელიც დასანერგად სავალდებულოა ყველა წევრი ფირმისათვის. ეს პოლიტიკა შეესაბამება IESBA-ს პროფესიონალი ბუღალტერების საერთაშორისო ეთიკის კოდექსს, რაც უზრუნველყოფს გლობალური დამოუკიდებლობისა და ეთიკური სტანდარტების დაცვას.

თითოეული წევრი ფირმა ნიშნავს ეთიკისა და დამოუკიდებლობის ხელმძღვანელს, რომელიც პასუხისმგებელია აღნიშნული პოლიტიკების გაუმჯობესებაზე საჭიროების შემთხვევაში, მათ შორის უფრო მკაცრი ადგილობრივი რეგულაციების ინტეგრირებაზე.
RSM-ის ძირითადი პოლიტიკების ნებისმიერი ცვლილება უნდა წარედგინოს გლობალურ აღმასრულებელ ოფისს (GEO) განხილვისთვის.

ეთიკისა და დამოუკიდებლობის საკითხებზე შეკითხვების შემთხვევაში, პარტნიორებმა და თანამშრომლებმა უნდა მიმართონ საკუთარი ფირმის ეთიკისა და დამოუკიდებლობის ხელმძღვანელს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში საკითხს გადაამისამართებს გლობალურ ეთიკისა და დამოუკიდებლობის ხელმძღვანელთან.

ინსპექტირების მონიტორინგის პროცესი
RSM-ის თითოეული წევრი ფირმა ვალდებულია დანერგოს წლიური მონიტორინგის პროცესი ISQM 1-ის მოთხოვნების შესაბამისად, რამაც უნდა უზრუნველყოს, რომ მისი ხარისხის მართვის სისტემა სრულად შეესაბამებოდეს RSM-ის სტანდარტებსა და მოქმედ პერიოდში ძალაში მყოფ ყველა შესაბამის IFAC-ის რეგულაციას.
ამ ინსპექტირების პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სარგებელია გარიგებების მართვასა და კლიენტებისთვის მომსახურების მიწოდებაში გაუმჯობესების შესაძლებლობების გამოვლენა.

RSM-ის გლობალური ინსპექტირების პროგრამის ფარგლებში, სხვა წევრი ფირმებიდან დაკომპლექტებული პარტნიორებისა და თანამშრომლების დამოუკიდებელი გუნდი ატარებს ინსპექტირებებს არაუმეტეს სამწლიანი ციკლით. აღნიშნულ ინსპექტირებებს ხელმძღვანელობენ სხვა ფირმების კვალიფიციური პარტნიორები და უფროსი პერსონალი, გლობალური აღმასრულებელი ოფისის (GEO) წარმომადგენლებისა და ხარისხისა და რისკების გლობალური ხელმძღვანელის ზედამხედველობის ქვეშ.

პროგრამა ასევე აკმაყოფილებს Forum of Firms-ის წევრობის მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფს გლობალურ პროფესიულ სტანდარტებთან შესაბამისობას.
RSM-ის პოლიტიკებთან, მეთოდოლოგიებსა და პროცედურებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, RSM International-ის საბჭო უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, წევრ ფირმებს დააკისროს შესაბამისი სანქციები.



ხარისხის უზრუნველყოფა და რისკების ზედამხედველობა

ჩვენი ერთგულება ხარისხისადმი

RSM საქართველოში ვაღიარებთ და ვაფასებთ ხარისხიანი სამუშაოს მნიშვნელობას. აუდიტის ხარისხი წარმოადგენს ჩვენი საქმიანობის საფუძველს და იმ მთავარ ფაქტორს, რომელიც გვეხმარება კლიენტების მოზიდვასა და ჩვენი რეპუტაციის შენარჩუნებაში.
ჩვენი თანამშრომლები, კლიენტები, დაინტერესებული მხარეები, ბაზრის მონაწილეები და საზოგადოება ინარჩუნებენ ნდობასა და რწმენას აუდიტის პროფესიის მიმართ სწორედ მაღალი ხარისხის, სანდო და შედეგზე ორიენტირებული მომსახურების მიწოდების შედეგად.
ჩვენი კლიენტები, მარეგულირებელი ორგანოები და დაინტერესებული მხარეები ელიან, რომ შეძლონ თავიანთი გადაწყვეტილებებისა და სტრატეგიების დაფუძნება ჩვენს სანდო და მაღალი ხარისხის შედეგებზე.

ფირმის შიგნით ხარისხს ვამკვიდრებთ იმ ორგანიზაციული კულტურის მეშვეობით, რომელსაც ვავითარებთ როგორც ადგილობრივ დონეზე, RSM საქართველოში, ასევე გლობალურად, RSM International-ის ქსელში. მენეჯმენტი მუდმივად უწყობს ხელს და პრიორიტეტს ანიჭებს ხარისხის უზრუნველყოფას პირდაპირი კომუნიკაციის, ტრენინგებისა და სხვადასხვა აქტივობების საშუალებით. ამაყად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ჩვენი გლობალური აუდიტის მეთოდოლოგია მოიცავს ისეთ პოლიტიკებსა და პროცედურებს, რომლებიც უზრუნველყოფს ხარისხს პროცესის ყველა ეტაპზე - დაწყებული კლიენტის მიღებიდან, დასკვნითი შედეგების საბოლოო მომხმარებლებისთვის წარდგენამდე.

ხარისხის მართვის სისტემა

ჩვენი ხარისხის მართვის სისტემა („SoQM“) მოიცავს პოლიტიკებს, პროცედურებსა და პრაქტიკას, რათა დააკმაყოფილოს ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტი 1-ის („ISQM 1“), „ხარისხის მართვა იმ ფირმებისთვის, რომლებიც ახორციელებენ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს ან მიმოხილვას, ან სხვა მარწმუნებელ ან მასთან დაკავშირებულ მომსახურების გაწევას“, ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტი 2-ის („ISQM 2“), „გარიგების ხარისხის მიმოხილვები და ISA220 (გადასინჯული): ხარისხის მართვა ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის“, რომელიც გამოქვეყნებულია აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ.

ჩვენი პოლიტიკები ეფუძნება RSM-ის ხარისხის უზრუნველყოფისა და რისკების მართვის პოლიტიკებს (QARC), რომელიც მოიცავს RSM International-ის მინიმალურ მოთხოვნებს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკებსა და პროცედურებზე და დასანერგად სავალდებულოა ქსელის ყველა წევრი ფირმისთვის.
გლობალური ხარისხის კომიტეტი (GQC) პასუხისმგებელია QARC-ის მინიმალური მოთხოვნების შემუშავებაზე, რომლებიც შეესაბამება ISQM 1-ისა და ISQM 2-ის სტანდარტებს.
RSM-ი Excellence ცენტრებთან თანამშრომლობით, ინარჩუნებს სახელმძღვანელოებსა და ინსტრუმენტებს, რომლებიც ხელს უწყობს ხარისხის უზრუნველყოფისა და რისკების მართვის პოლიტიკებისა და პროცედურების დანერგვას, დოკუმენტირებასა და კომუნიკაციას. მათ შორისაა RSM Intrust, RSM Orb და სხვა შესაბამისი პლატფორმები.

RSM საქართველომ შეიმუშავა და დანერგა ხარისხის მართვის სისტემა, რომელიც შეესაბამება ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს და ეფუძნება ხარისხის მიზნებისა და მათთან დაკავშირებული რისკების მკაფიო ჩარჩოს.
ამ თვალსაზრისით, ხარისხის მიზნები განსაზღვრულია, როგორც ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული კონკრეტული და გაზომვადი ამოცანები, რომლებიც უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდებასა და მომსახურების გაუმჯობესებას. აღნიშნული მიზნები სისტემურად არის დაკავშირებული ხარისხის რისკებთან - შესაძლო გამოწვევებთან ან მოვლენებთან, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედონ აღნიშნული მიზნების მიღწევაზე.
რისკების მართვის მიზნით, RSM საქართველოს მიერ განსაზღვრულია შესაბამისი რეაგირების ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს აღნიშნული რისკების თავიდან აცილებას ან მათი ალბათობის შემცირებას. ეს სტრუქტურირებული მიდგომა უზრუნველყოფს რისკების დროულ იდენტიფიცირებასა და ეფექტურ მართვას, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ორგანიზაციის ხარისხისადმი ერთგულებას და ხარისხის მართვის სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას.

ლიდერობა და მართვა

მომსახურების შედეგის ხარისხი მნიშვნელოვნად არის განსაზღვრული იმ გარემოთი, რომელშიც იგი ყალიბდება. შესაბამისად, მაღალი ხარისხის შედეგის მიღწევა შეუძლებელია, თუ ორგანიზაციული კულტურა, ღირებულებები და ხელმძღვანელობის პრაქტიკა არ ქმნის მყარ საფუძველს ამ მიდგომების მხარდაჭერისა და ორგანიზაციის ყველა დონეზე მათი თანმიმდევრული დანერგვისთვის.

ჩვენს ორგანიზაციულ კულტურაში მყარად არის დამკვიდრებული აღქმა, რომ ხარისხზე პასუხისმგებლობა ლიდერობის განუყოფელი ვალდებულებაა. სწორედ მათი გადაწყვეტილებები, ქმედებები და ქცევის სტანდარტები განსაზღვრავს და ამყარებს ხარისხისადმი ერთგულებას ორგანიზაციის ყველა დონეზე.

RSM-ში ჩვენი საქმიანობა ეფუძნება ხუთ ძირითად პრინციპს, რომლებიც განსაზღვრავს ჩვენს იდენტობას, ღირებულებებსა და მუშაობის სტილს.

გაბედულება - ვარღვევთ სტატუს კვოს ჩარჩოებს, ვეძებთ ახალ შესაძლებლობებს და თამამად გამოვთქვამთ იდეებს, რომლებიც უკეთესი შედეგების მიღწევას უწყობს ხელს.

ცნობისმოყვარეობა - ვსვამთ კითხვებს, ვეძებთ განსხვავებულ პერსპექტივებს და მუდმივად ვსწავლობთ, რათა გავაძლიეროთ ურთიერთობები და გავაღრმაოთ ჩვენი ანალიტიკური ხედვა.

გუნდურობაზე ორიენტირებულობა - გვჯერა გუნდური მუშაობის მნიშვნელობის, ვაფასებთ განსხვავებულ მოსაზრებებს და ერთობლივი ძალისხმევით ვქმნით ინოვაციასა და ვაღწევთ წარმატებას.

კრიტიკული აზროვნება - სიღრმისეულად და ობიექტურად ვაანალიზებთ რთულ ინფორმაციას, რათა კლიენტებს დავეხმაროთ გააზრებული, სანდო და ეფექტური გადაწყვეტილებების მიღებაში.

ზრუნვაზე ორიენტირებულობა - ვამყარებთ გრძელვადიან ურთიერთობებს ემპათიასა და ურთიერთპატივისცემაზე დაყრდნობით, სიღრმისეულად ვაანალიზებთ სხვების მიზნებსა და გამოწვევებს.

ჩვენი ლიდერები ქმნიან RSM-ის გამოცდილებას, ყოველდღიურ საქმიანობაში თანმიმდევრულად ასახავენ ორგანიზაციის ღირებულებებსა და კულტურას. ისინი ლიდერობენ პირადი მაგალითით და უზრუნველყოფენ, რომ ორგანიზაციის ზრდა განხორციელდეს ხარისხის შეუფერხებელი შენარჩუნების პირობებში. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ისინი პირველ რიგში აფასებენ ახალი კლიენტის მიღების მიზანშეწონილობას, ასევე იმას, აქვს თუ არა ფირმას საკმარისი ადამიანური, ტექნიკური და ტექნოლოგიური რესურსები შესაბამისი ხარისხის მომსახურების უზრუნველსაყოფად, ან საჭიროა თუ არა ამ რესურსების გაძლიერება და გაფართოება, მათ შორის ახალი კადრების მოზიდვის გზით.

RSM DNA

- We are Caring
- We are Curious
- We are Collaborative
- We are Courageous
- We are Critical thinkers



პასუხისმგებლობა

კომპანიის თითოეული თანამშრომელი, ისევე როგორც ყველა პარტნიორი და დირექტორი, ექვემდებარება ფორმალურ უკუკავშირსა და შეფასების პროცესს. შეფასება ხორციელდება მათი როლისა და პასუხისმგებლობების შესრულების ხარისხის, ასევე კომპანიის სტრატეგიული მიზნების მიღწევაში შეტანილი წვლილის საფუძველზე. პარტნიორები და დირექტორები პასუხისმგებელნი არიან როგორც შიდა, ისე გარე აუდიტისა და ინსპექტირების შედეგებზე, ასევე მათ მიერ დემონსტრირებულ პროფესიულ ქცევაზე და სტანდარტებთან შესაბამისობაზე.

კლიენტთან ურთიერთობის დამყარება და გაგრძელება

ჩვენი მიდგომა ახალი კლიენტების აყვანისა და არსებული კლიენტებთან ურთიერთობის გაგრძელების მიმართ ეფუძნება მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდების ფუნდამენტურ პრინციპს.

კლიენტებთან ურთიერთობის დამყარებისას RSM საქართველოში შემუშავებულია მყარი პოლიტიკები და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს, რომ შევაფასოთ ჩვენი კომპეტენცია სამუშაოს შესრულების მიზნებისათვის, გავაანალიზოთ არსებული რესურსები, დროის ხელმისაწვდომობა და დავადასტუროთ შესაბამის ეთიკურ სტანდარტებთან შესაბამისობა, მათ შორის დამოუკიდებლობის დაცვა.

გარდა ამისა, გადაწყვეტილების მიღებისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ კლიენტის რეპუტაციასა და ბიზნესის სანდოობას. კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად, თანამშრომლობას ვიწყებთ და ვაგრძელებთ მხოლოდ იმ კლიენტებთან, რომლებიც სრულად აკმაყოფილებენ RSM-ის კლიენტთან ურთიერთობის დამყარებისა და ხელახალი შეფასების კრიტერიუმებს.

აღნიშნული შეფასებები ერთჯერადი ხასიათის არ არის - ისინი რეგულარულად განახლდება, რათა განისაზღვროს კლიენტთან თანამშრომლობის გაგრძელების მიზანშეწონილობა. საჭიროების შემთხვევაში, კომპანიაში დანერგილია შესაბამისი პოლიტიკები და პროცედურები კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტის ან კონკრეტული გარიგებიდან გასვლის მიზნით.

ამ პროცესის ფარგლებში უპირატესობას ვანიჭებთ რისკების მართვასა და ხარისხის უზრუნველყოფას ფინანსურ ან ოპერაციულ ინტერესებთან მიმართებით, რაც უზრუნველყოფს, რომ აღნიშნული ფაქტორები არ ახდენდეს გავლენას ჩვენს პროფესიულ განსჯაზე კლიენტთან ურთიერთობის დაწყების ან გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას.

აღნიშნული პროცედურების შესაბამისად, თანამშრომმელთა როლები და პასუხისმგებლობები მკაფიოდ არის განსაზღვრული. გარიგების პარტნიორი ან პროექტის წამყვანი პარტნიორი აფასებს თითოეულ გარიგებასთან დაკავშირებულ რისკის დონეს და განსაზღვრავს, საჭიროა თუ არა დამატებითი ზომების გატარება, მათ შორის დამატებითი რესურსების ჩართვა, ზედამხედველობის გაძლიერება ან დამატებითი მიმოხილვითი პროცედურების განხორციელება.

გარდა ამისა, მაღალი რისკის პროფილის მქონე კლიენტებთან თანამშრომლობის დაწყების ან გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებას განიხილავს და ამტკიცებს მეორე პარტნიორი, რაც უზრუნველყოფს კლიენტების მიღებისა და მიმდინარე გარიგებების მართვის პროცესში სრულფასოვან და დაბალანსებულ მიდგომას, რაც აძლიერებს როგორც მომსახურების ხარისხს, ისე ურთიერთნდობას ჩვენს თანამშრომლობაში.

Who says you can’t do it differently?

Where others see challenges, we look for opportunities.

ეთიკა და დამოუკიდებლობა

RSM საქართველო იცავს მკაცრ დამოუკიდებლობისა და ეთიკის პოლიტიკებსა და პროცედურებს, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია IESBA-ის ეთიკის კოდექსის მოთხოვნებთან და ქსელის მიერ დადგენილ სტანდარტებთან.

გარიგების პარტნიორები ვალდებულნი არიან დაიცვან პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს ფირმის დამოუკიდებლობის დადასტურებას კლიენტის მიღებამდე. მათ ევალებათ მოიპოვონ და დააფიქსირონ დეტალური ინფორმაცია დაგეგმილი გარიგებისა და გასაწევი მომსახურებების შესახებ, რათა შესაძლებელი იყოს როგორც საკუთარი, ისე გუნდისა და კომპანიის დამოუკიდებლობის სათანადო შეფასება.

- ყოველწლიურად, თითოეული თანამშრომელი ავსებს და ხელს აწერს შესაბამის ფორმას, რომელიც წარმოადგენს დამოუკიდებლობის პირად დეკლარაციას.
- მიმდინარეობს დამოუკიდებლობის რეესტრის წარმოება, სადაც აღირიცხება ყველა იდენტიფიცირებული საფრთხე, რომლის სათანადოდ შემცირება შეუძლებელია და შესაბამისად, კლიენტთან თანამშრომლობის დაწყება ან გაგრძელება დაუშვებელია.
- იმ შემთხვევაში, თუ აუდიტის გარიგების პარტნიორი გარკვეული პერიოდის განმავლობაში მუშაობს ერთსა და იმავე კლიენტთან, ხორციელდება მისი როტაცია, რათა თავიდან იქნეს აცილებული კლიენტთან ხანგრძლივი თანამშრომლობით გამოწვეული რისკები და შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი.
- არაუდიტორული მომსახურებიდან მიღებული ჰონორარები კონტროლდება, რათა უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისობა დადგენილ ზღვრულ მაჩვენებლებთან, რეგულაციების, პოლიტიკებისა და პროცედურების საფუძველზე.
- ყველა შესაბამისი ინფორმაცია დეტალურად უნდა დოკუმენტირდეს თითოეული კლიენტისა და აუდიტის ფაილში და განიხილოს პასუხისმგებელმა პარტნიორმა მის დანიშვნამდე, ასევე ყოველ მომდევნო წელს. აღნიშნული პარტნიორი პასუხისმგებელია ჩატარებული შეფასებების სიზუსტესა და სისრულეზე.

RSM-ის ეთიკისა და დამოუკიდებლობის პოლიტიკების შესაბამისად, პარტნიორები, დირექტორები და თანამშრომლები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ აცნობონ ეთიკისა და დამოუკიდებლობის საკითხებზე პასუხისმგებელ პარტნიორს ნებისმიერი გარემოების ან ურთიერთობის შესახებ, რომელიც შესაძლოა ქმნიდეს დამოუკიდებლობისთვის საფრთხეს. შემდგომში, კომპანიის საკონსულტაციო პოლიტიკების შესაბამისად, ხორციელდება შესაბამისი კონსულტაციის პროცესი, რათა განისაზღვროს საჭირო და შესაბამისი ზომები ფირმის პოლიტიკებისა და პროფესიული სტანდარტების სრული დაცვით.

აუდიტის დამოუკიდებლობის მოთხოვნების მონიტორინგი ხორციელდება სამ დონეზე: ინდივიდუალურ, კლიენტის/გარიგების და ფირმის დონეზე.

ინდივიდუალურ დონეზე შესაბამისობის მონიტორინგი ხორციელდება დამოუკიდებლობის ყოველწლიური დადასტურების პროცესის მეშვეობით. პარტნიორები და პროფესიული თანამშრომლები ვალდებულნი არიან ყოველწლიურად შეავსონ დამოუკიდებლობის შესაბამისობის კითხვარი, რომლის საშუალებითაც ადასტურებენ, რომ:

- გაეცნენ RSM-ის ეთიკისა და დამოუკიდებლობის პოლიტიკებს;
- ესმით მათი გამოყენება საკუთარ საქმიანობასთან მიმართებაში;
- იმყოფებიან და გასული წლის განმავლობაშიც იმყოფებოდნენ აღნიშნულ პოლიტიკებთან სრულ შესაბამისობაში.

აღნიშნული დადასტურებები ასევე ვრცელდება RSM-ის ხარისხის უზრუნველყოფისა და რისკების მართვის პოლიტიკებისა და პროცედურების, მარწმუნებელი მომსახურებების ტრენინგისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) პოლიტიკების, აგრეთვე RSM-ის ანტიკორუფციული და ქრთამის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკებისა და სახელმძღვანელოების ცოდნასა და მათთან შესაბამისობაზე.

ამგვარ დადასტურებებთან დაკავშირებული ნებისმიერი შენიშვნა სრულად აიხსნება წერილობით და, საჭიროების შემთხვევაში, ხორციელდება შესაბამისი მაკორექტირებელი ღონისძიებები. წლიური დეკლარაციები გადამოწმდება მათი სიზუსტისა და სისრულის უზრუნველსაყოფად.

გარიგების დონეზე, გარიგების ხელმძღვანელი პასუხისმგებელია როგორც გარიგების გუნდის დამოუკიდებლობის მონიტორინგზე, ასევე სხვა მომსახურებების გაწევასთან დაკავშირებული საკითხების ზედამხედველობაზე.

ფირმის დონეზე, ეთიკისა და დამოუკიდებლობის საკითხებზე პასუხისმგებელი პარტნიორი ზედამხედველობს აღნიშნული პოლიტიკების ყველა ასპექტთან შესაბამისობას.

გარდა ამისა, კომპანია, საკუთარი შიდა მონიტორინგისა და ინსპექტირების პროგრამის ფარგლებში, უზრუნველყოფს შესაბამისობის კონტროლს RSM-ის ყველა ხარისხის პოლიტიკასთან, მათ შორის დამოუკიდებლობის მოთხოვნებთან.

RSM საქართველო ვალდებულია ყოველწლიურად წარუდგინოს ანგარიში RSM-ის გლობალურ აღმასრულებელ ოფისს (GEO) იმის შესახებ, რომ კომპანიამ დანერგა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკებში განსაზღვრული მინიმალური პოლიტიკები და პროცედურები, რომლებიც მოიცავს ასევე მითითებას ეთიკისა და დამოუკიდებლობის პოლიტიკებზე.

RSM InTrust წარმოადგენს ჩვენს ინტეგრირებულ გლობალურ სისტემას დამოუკიდებლობისა და ინტერესთა კონფლიქტების მართვისა და მონიტორინგისთვის. აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს, რომ ჩვენს გუნდებსა და კლიენტებს ჰქონდეთ მკაფიო ხედვა და სანდო საფუძველი გადაწყვეტილებების მისაღებად.

აღნიშნული პროგრამული უზრუნველყოფა აძლიერებს ჩვენს გლობალურ დამოუკიდებლობას ინტეგრირებული სუბიექტების მართვის სისტემის მეშვეობით, რომელიც იღებს ინფორმაციას RSM-ის საერთაშორისო ქსელიდან, ახორციელებს მის ფილტრაციას და განსაზღვრავს შესაძლო რისკებს, რომლებიც შემდგომ ფასდება წევრი ფირმების წარმომადგენლებს შორის პროფესიული კომუნიკაციის გზით.

ეს უზრუნველყოფს დროულ, ინფორმირებულ და მონაცემებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებების მიღებას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუდმივად ცვალებად და მზარდად რეგულირებულ გარემოში, სადაც კლიენტებს, როგორც არასდროს, სჭირდებათ გამჭვირვალობით დადასტურებული დამოუკიდებლობა და სანდო ანგარიშები, რომლებიც მათ საშუალებას აძლევს მიიღონ გააზრებული და ინფორმირებული გადაწყვეტილებები.

პარტნიორთა როტაციის პოლიტიკა შემუშავებულია დამოუკიდებლობის, ობიექტურობისა და აუდიტის ხარისხის შესანარჩუნებლად. აღნიშნული პოლიტიკა უზრუნველყოფს, რომ აუდიტის გარიგებები პერიოდულად გადაეცეს სხვადასხვა პარტნიორებს, რაც ქმნის ახალ პერსპექტივას და ამცირებს კლიენტთან ხანგრძლივი ურთიერთობის შედეგად წარმოშობილ შესაძლო რისკებს. როტაციის პროცესი იგეგმება და იმართება კომპანიის ხარისხის მართვის სისტემის მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს განათლების უწყვეტობას და ამავდროულად ხელს უწყობს პროფესიული სკეპტიციზმისა და მიუკერძოებელი პროფესიული განსჯის შენარჩუნებას ყველა კლიენტთან ურთიერთობის ფარგლებში..

RSM InTrust

დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის გადაწყვეტა, რომელიც ჩვენს გუნდებს საშუალებას აძლევს, თავდაჯერებულად განაგრძონ საქმიანობა.

ჩვენი გლობალური დამოუკიდებლობის გაძლიერება ინტეგრირებული სუბიექტების მართვის მეშვეობით.

დროული და ინფორმირებული, მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების უზრუნველყოფა

ინტელექტუალური ტექნოლოგიებისა და ავტომატიზებული პროცესების გამოყენებით მუდმივად ცვალებად მარეგულირებელ გარემოსა და კლიენტთა მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

ჩვენი გუნდი: სრულყოფილებისა და განვითარების ხელშეწყობა

RSM-ში ვაცნობიერებთ, რომ ჩვენი წარმატება განპირობებულია ჩვენი თანამშრომლების ნიჭითა და ერთგულებით და ვიღებთ ვალდებულებას სრულად გამოვავლინოთ ჩვენი გუნდის პოტენციალი ისეთი ორგანიზაციული კულტურის შექმნისა და გაძლიერების გზით, სადაც მრავალფეროვანი უნარები, ცოდნა და გამოცდილება სტრატეგიულად არის ინტეგრირებული ყველა დეპარტამენტსა და ფუნქციაში. ეს მიდგომა წარმოადგენს ჩვენი ბიზნეს სტრატეგიის საფუძველს და აქტიურად არის მხარდაჭერილი მენეჯმენტის მიერ, რომელიც მუდმივად აფასებს კომპანიის საჭიროებებს მომავალი ზრდის, ბიზნეს მოთხოვნების ცვლილებისა და სამუშაო ძალის დინამიკის ტრანსფორმაციის გათვალისწინებით.

ჩვენ ვისწრაფვით მოვიზიდოთ პროფესიონალები, რომლებიც გამოირჩევიან კეთილსინდისიერებით, ამბიციურობითა და პროფესიისადმი გულწრფელი ინტერესით. თანამშრომელთა შერჩევის პროცესი უზრუნველყოფს, რომ კანდიდატებს ჰქონდეთ შესაბამისი განათლება და უნარები, რომლებიც შეესაბამება მათ როლებს, ასევე ის დამოკიდებულება, რომელიც აუცილებელია ჩვენი ღირებულებების გასაზიარებლად. რეკრუტირების პროცესი მოიცავს განაცხადების განხილვას, გასაუბრებებს, რეკომენდაციების გადამოწმებას, ბექგრაუნდ-შემოწმებას და საბოლოო ოფიციალური შეთავაზების წარდგენას.

შესრულებული სამუშაოს შეფასება და კარიერული განვითარება

თითოეული თანამშრომლის მიერ სამუშაოს შესრულება ფასდება რეგულარული შეფასებების მეშვეობით, რომლებიც ტარდება იმ პირების მიერ, ვინც ყველაზე უკეთ იცნობს მათ საქმიანობასა და მიღწევებს. მინიმუმ წელიწადში ერთხელ, თანამშრომლები მონაწილეობენ ოფიციალურ შეფასების პროცესში თავიანთ მენეჯერთან, პარტნიორთან ან დირექტორთან ერთად, სადაც განიხილება მიზნების შესრულება, ძლიერი მხარეები და განვითარების შესაძლებლობები. ამ განხილვების საფუძველზე თითოეული თანამშრომლისთვის მზადდება ინდივიდუალურად მორგებული განვითარების გეგმა მომდევნო წლისთვის, რომელიც გადის განხილვისა და დამტკიცების პროცესს. აღნიშნული შეფასების შედეგები ინახება შიდა სისტემაში, რაც გვაძლევს შესაძლებლობას ვაკონტროლოთ პროგრესი დროთა განმავლობაში.

დაწინაურება განისაზღვრება ყოვლისმომცველი შეფასების პროცესის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს, რომ კომპანიაში დაწინაურებული თანამშრომლები აკმაყოფილებდნენ აუცილებელ კვალიფიკაციას, ავლენდნენ ჩვენს ღირებულებებთან შესაბამისობას და იცავდნენ ეთიკურ სტანდარტებს, ხარისხის უზრუნველყოფისა და რისკების მართვის პოლიტიკებს.

2025 წლის დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიაში განხორციელდა თანამშრომელთა დაწინაურება და მათი როლების გაფართოება, ასევე შესაბამისი ანაზღაურების კორექტირება მათი წვლილის აღიარებისა და წახალისების მიზნით.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია მოქნილი და ადაპტირებადი სამუშაო გარემოს შექმნა, რათა სხვადასხვა გამოწვევას ეფექტიანად ვუპასუხოთ. ჩვენს მიერ განხორციელებული ინვესტიციები სასწავლო და განვითარების პროგრამებში მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც სამუშაო კულტურის გაძლიერებაში, ისე ჩვენი ხედვის გაფართოებაში.

ამასთანავე, მუდმივად ვზრუნავთ არსებული სამუშაო გარემოს შენარჩუნებასა და მის კიდევ უფრო გაუმჯობესებაზე. იმ ინდუსტრიაში, სადაც კვალიფიციურ ბუღალტრებზე მაღალი მოთხოვნის გამო კადრების ცვლილება ხშირია, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ ჩვენი გუნდის წევრების შრომისა და წვლილის აღიარებასა და დაფასებას, რაც გადამწყვეტია ძირითადი ტალანტების შენარჩუნების კუთხით.

ჩვენი ღირებულებები

ყველა გადაწყვეტილება, რომელსაც ვიღებთ, ჩვენი ღირებულებებით არის განპირობებული. სწორედ ისინი ქმნიან იმ საფუძველს, რომელზეც დგას ჩვენი ყოველდღიური საქმიანობა.

პატივისცემა და კეთილსინდისიერება
RSM-ში ვმოქმედებთ სამართლიანად და პასუხისმგებლობით და ვზრუნავთ, რომ ჩვენი ქმედებები სიტყვებზე მეტყველებდეს.

ერთობლივი წარმატება
ვაფასებთ ინკლუზიურობასა და ინდივიდუალობას. ეფექტიანი თანამშრომლობის გზით ვქმნით მყარ ურთიერთობებს, რომლებიც დაფუძნებულია ნდობასა და სიღრმისეულ გაგებაზე.

სრულყოფილება ჩვენს საქმიანობაში
მუდმივად ვზრუნავთ ხარისხზე და ვისწრაფვით უმაღლესი შედეგებისკენ როგორც ინდივიდუალურ, ისე გუნდურ დონეზე.

მნიშვნელოვანი ინოვაცია
ღია ვართ ცვლილებების მიმართ, აქტიურად ვიყენებთ ცოდნასა და ტექნოლოგიებს და ვქმნით რეალურ ღირებულებას ჩვენი კლიენტებისა და თანამშრომლებისთვის.

პასუხისმგებლობით მოქმედება
ვზრუნავთ უკეთესი მომავლის შექმნაზე და ვავლენთ პასუხისმგებლობას ჩვენი თანამშრომლების, კლიენტების, საზოგადოების და გარემოს წინაშე.

Strengthening skills training

განათლება და განვითარება

ჩვენს კომპანიაში ერთგულნი ვართ როგორც პიროვნული, ისე პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შექმნისადმი. თანამშრომელთა განვითარება ჩვენი იდენტობის მნიშვნელოვანი ნაწილია. ჩვენს კორპორატიულ კულტურაში ღრმად არის დანერგილი ცნობისმოყვარეობა და გაბედულება, რაც გვაძლევს საშუალებას, მოვიცვათ ახალი მიმართულებები და შევაბიჯოთ ისეთ სფეროებში, სადაც აქამდე გამოცდილება არ გვქონია.

ყველა თანამშრომელი მონაწილეობს სავალდებულო წლიურ ტექნიკურ სასწავლო პროგრამაში, რომელიც მორგებულია მათი საქმიანობის მიმართულებასა და უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) დონეზე. პროგრამაზე დასწრება კონტროლდება, რათა უზრუნველყოფილი იყოს დადგენილი სტანდარტების დაცვა.
ახალი თანამშრომლებისათვის გამოიყოფა მენტორი - გამოცდილი გუნდის წევრი, რომელიც ხელს უწყობს მათ მარტივ ინტეგრაციას ორგანიზაციულ კულტურაში, უზრუნველყოფს პრაქტიკულ სწავლებას სამუშაო პროცესში და თანამშრომლებს უწევს მხარდაჭერას როგორც ადგილობრივი, ისე გლობალური რესურსების ეფექტიან გამოყენებაში.

ჩვენი კარიერული განვითარების გეგმა განსაზღვრავს იმ ცოდნას, კომპეტენციებსა და ტრენინგებს, რომლებიც საჭიროა თითოეული კარიერული საფეხურისთვის. RSM-ის შიდა უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) პოლიტიკის შესაბამისად, ყველა პარტნიორი, დირექტორი და კვალიფიციური პროფესიონალი ვალდებულია დააკმაყოფილოს CPD საათების მინიმალური მოთხოვნა.

ტრენინგები ხორციელდება სხვადასხვა პლატფორმების, მათ შორის RSM Campus-ის მეშვეობით - ეს არის ყოვლისმომცველი ონლაინ პლატფორმა, რომელიც თანამშრომლებს სთავაზობს მრავალფეროვან სასწავლო მასალებსა და კურსებს. გარდა ამისა, ვატარებთ შიდა საკლასო ტრენინგებს, ვირტუალურ სესიებსა და სამუშაო პროცესში სწავლებაზე დაფუძნებულ (on-the-job coaching) პროგრამებს.
ჩვენი სასწავლო პროგრამა მოიცავს როგორც ტექნიკურ, ისე პროფესიული განვითარების მიმართულებებს. ტექნიკური ნაწილი მოიცავს IFRS-ისა და ISA-ის განახლებებს, რისკისა და ხარისხის მართვის საკითხებს, ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის (AML) მოთხოვნებსა და შესაბამის საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს. ამასთანავე, თანამშრომლებს ვთავაზობთ ლიდერობის განვითარების პროგრამებს, რომლებიც ფოკუსირებულია მოლაპარაკების, პრეზენტაციისა და კომუნიკაციის უნარების გაძლიერებაზე, ასევე IT-ისა და ინფორმაციული უსაფრთხოების ტრენინგებს. გარდა ამისა, ყოველწლიურად ვატარებთ ეთიკისა და დამოუკიდებლობის კურსებს, რათა უზრუნველვყოთ, რომ ჩვენი გუნდი მუდმივად შეესაბამებოდეს უმაღლეს პროფესიულ სტანდარტებს.

RSM საქართველოში დასაქმებულნი არიან პროფესიონალები როგორც ინგლისისა და უელსის ნაფიცი ბუღალტრების ინსტიტუტიდან (ICAEW), ასევე სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ასოციაციიდან (ACCA). კომპანიაში უზრუნველვყოფთ სათანადო ტრენინგებს თანამშრომელთათვის, რაც მათ საშუალებას აძლევს შეიძინონ საჭირო ტექნიკური უნარები პროფესიული მომსახურებების სფეროში წარმატებული კარიერისთვის.

RSM კამპუსი

RSM კამპუსი წარმოადგენს ჩვენს ონლაინ სასწავლო პლატფორმას, რომელიც RSM International-ის მიერ არის უზრუნველყოფილი ყველა წევრი ფირმისთვის. იგი მოიცავს სხვადასხვა მომსახურების მიმართულებასთან დაკავშირებულ ტრენინგებსა და კურსებს, სამართლებრივ და შესაბამისობის საკითხებს, RSM-ის საქმიანობისა და მისი ღირებულებების უკეთ გაგებას. პლატფორმა თავისუფლად ხელმისაწვდომია ყველა თანამშრომლისთვის ნებისმიერ დროს და თითოეულს აქვს შესაძლებლობა დამოუკიდებლად აირჩიოს სასურველი კურსები.

გარიგებების შესრულება

RSM-ის აუდიტის პოლიტიკები და პროცედურები შემუშავებულია იმგვარად, რომ ჩვენი აუდიტის გარიგებები სრულ შესაბამისობაში იყოს შესაბამის მარეგულირებელ მოთხოვნებთან და პროფესიულ სტანდარტებთან.

გარიგების ხელმძღვანელი პასუხისმგებელია აუდიტის გარიგების დაგეგმვაზე, წარმართვაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე მოქმედ პროფესიულ სტანდარტებთან, მარეგულირებელ და სამართლებრივ მოთხოვნებთან სრული შესაბამისობის დაცვით, ასევე უზრუნველყოფს შესაბამისი აუდიტორული დასკვნის გაცემას.

ხარისხის კონტროლის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული კონკრეტული პასუხისმგებლობებია:

- გარიგების გუნდის მიერ ეთიკისა და დამოუკიდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- კლიენტის მიღებისა და კლიენტთან თანამშრომლობის გაგრძელების შესაბამისი პროცედურების განხორციელებისა და დოკუმენტირების უზრუნველყოფა;
- გარიგების გუნდის შესაბამისი კომპეტენციისა და გამოცდილების უზრუნველყოფა;
- საჭიროების შემთხვევაში, გარიგების ხარისხის კონტროლის მიმომხილველის (EQCR) დანიშვნის უზრუნველყოფა;
- შესაბამისი კონსულტაციების ჩატარებისა და მათი დოკუმენტირების უზრუნველყოფა;
- შესრულებული სამუშაოს მიმოხილვა, რათა დადასტურდეს მისი შესაბამისობა მოქმედ პროფესიულ სტანდარტებთან, მარეგულირებელ და სამართლებრივ მოთხოვნებთან და უზრუნველყოფილი იყოს, რომ იგი ამყარებს მიღებულ დასკვნებს
- უზრუნველყოფა, იმისა რომ ანგარიში ან სხვა საბოლოო შედეგები შეესაბამებოდეს გარიგების პირობებსა და კონკრეტული ტიპის დავალებაზე მოქმედ პოლიტიკებს;
- მონიტორინგისა და ინსპექტირების პროცესში გამოვლენილი ხარვეზების გავლენის შეფასება კონკრეტულ გარიგებაზე.



ზედამხედველობა და მიმოხილვა

მიმოხილვა და ზედამხედველობა წარმოადგენს ჩვენი ხარისხის მართვის სისტემის მნიშვნელოვან ელემენტებს და უზრუნველყოფს, რომ შესრულებული სამუშაო სრულ შესაბამისობაში იყოს უმაღლეს სტანდარტებთან.

მიმოხილვისა და ზედამხედველობის მასშტაბი განისაზღვრება გარიგების მოცულობისა და პროცესში ჩართული გუნდის შემადგენლობის შესაბამისად.

კომპანიის თითოეული მომსახურების მიმართულების პასუხისმგებლობაა განსაზღვროს მათ მიერ შესრულებული მომსახურებების ინდივიდუალური მიმოხილვის მოთხოვნები, თითოეული დავალების ხასიათისა და სირთულის გათვალისწინებით.

ჩვენი მიმოხილვის პროცესი უზრუნველყოფს, რომ ყველა სამუშაო სწორად იყოს შესრულებული, სათანადოდ შენახული და დასრულებული, ხოლო წარმოდგენილ ანგარიშებში ასახული მოსაზრებები და დასკვნები ეფუძნებოდეს მყარ და სათანადოდ დოკუმენტირებულ საფუძველს.

აღნიშნული პროცესი მიზნად ისახავს მაღალი ხარისხის შედეგების მიღწევას, რისკების მინიმიზაციასა და მოქმედ პროფესიულ და მარეგულირებელ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას.

გარიგების პარტნიორი და გარიგების ხარისხის მიმომხილველი

გარიგებაზე პასუხისმგებელი პარტნიორის როლი გადამწყვეტია გარიგების ეფექტიანად შესრულებისა და მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდებისთვის. როგორც პირი, რომელსაც ეკისრება ზოგადი პასუხისმგებლობა გარიგებაზე, იგი უზრუნველყოფს, რომ სამუშაო შესრულდეს შესაბამის პროფესიულ სტანდარტებთან და რეგულაციებთან სრული შესაბამისობით.

იგი ასევე პასუხისმგებელია გარიგების საერთო ხარისხზე- უზრუნველყოფს ზედამხედველობასა და მიმოხილვას, აგრეთვე კლიენტისთვის წარდგენილი საბოლოო შედეგების სისწორესა და სანდოობას.

გარკვეული მაღალი რისკის მქონე გარიგებების შემთხვევაში, როგორიცაა საფონდო ბირჟაზე დაშვებული ან საზოგადოებრივი დაინტერესების პირის სტატუსის მქონე სუბიექტები, დამატებით ინიშნება გარიგების ხარისხის მიმომხილველი (EQR).

EQR ახორციელებს გარიგების დამოუკიდებელ მიმოხილვას დამატებითი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, რათა დადასტურდეს, რომ შესრულებული სამუშაო არის საკმარისი და შესაბამისი, ხოლო აუდიტის ფაილში ასახული მტკიცებულებები სათანადოდ არის შეფასებული საბოლოო ანგარიშის ან სხვა შედეგის გაცემამდე.

EQR უნდა იყოს დამოუკიდებელი პარტნიორი, დირექტორი ან სხვა კვალიფიციური პირი, რომელიც არ არის ჩართული თავად გარიგების შესრულებაში და არც კლიენტი კომპანიისათვის სხვა მომსახურებების გაწევაში.
მას უნდა გააჩნდეს შესაბამისი უფლებამოსილება, ტექნიკური კომპეტენცია და გამოცდილება შესაბამის ინდუსტრიაში, რათა შეძლოს შესრულებული სამუშაოს შეფასება და კომენტირება.
იგი ამოწმებს, რომ გარიგება სრულ შესაბამისობაში იყოს მოქმედ პროფესიულ სტანდარტებთან, მარეგულირებელ და სამართლებრივ მოთხოვნებთან.

კონსულტაცია

RSM-ის პროფესიონალებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყონ პროცესში შესაბამისი სპეციალიზებული ცოდნისა და გამოცდილების მქონე პირების ჩართულობა განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საკითხი სცდება მათ კომპეტენციას, ან როდესაც ასეთი მიდგომა განსაზღვრულია RSM-ის შიდა პოლიტიკებითა და პროცედურებით.

გარიგების პარტნიორი პასუხისმგებელია უზრუნველყოს, რომ კონსულტაციის საგანი, ასევე კონსულტაციის შედეგად მიღებული დასკვნები, მათ შორის მიღებული გადაწყვეტილებები, მათი დასაბუთება და განხორციელების მექანიზმები სრულად და მკაფიოდ იყოს დოკუმენტირებული და სათანადოდ შეთანხმებული კონსულტაციის პროცესში ჩართულ ყველა მხარესთან.

ფირმაში დანერგილია შესაბამისი პოლიტიკები და პროცედურები, რომლებიც არეგულირებს გარიგების გუნდში, კონსულტაციაში ჩართულ პირებს შორის და, საჭიროების შემთხვევაში, გარიგების პარტნიორს, ხარისხის მიმომხილველს (EQR) და სხვა შესაბამის მხარეებს შორის წარმოშობილი აზრთა სხვადასხვაობის განხილვისა და გადაწყვეტის პროცესს. ამასთან, აღნიშნული ჩარჩო ქმნის დამატებით გარანტიებს პარტნიორი მხარეებისთვის, რომ მათი ინფორმაცია დაცულია უსაფრთხოების მკაცრი სტანდარტების შესაბამისად, რაც მიზნად ისახავს მონაცემთა გაჟონვის, არასწორი დამუშავებისა და ადამიანური შეცდომების რისკების მინიმიზაციას.

RSM Orb – ჩვენი ერთიანი, გლობალური მეთოდოლოგია

RSM Orb წარმოადგენს RSM-ის ოპტიმალურ, რისკებზე დაფუძნებულ გადაწყვეტას და ერთიან გლობალურ მეთოდოლოგიას, რომელიც სრულად არის ინტეგრირებული RSM საქართველოში. გლობალურად მიღებული და დანერგილი მეთოდოლოგიების გამოყენება პასუხობს ჩვენი არსებული და პოტენციური კლიენტების მოთხოვნებს, რომლებიც ელიან მომსახურების თანმიმდევრულობასა და მაღალი ხარისხის მიწოდებას გლობალური სერვის-პროვაიდერებისგან.

იგი წარმოადგენს მრავალწლიანი, საფუძვლიანად გააზრებული განვითარების პროცესის შედეგს, რომელიც ეფუძნება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს (ISA) და გამდიდრებულია RSM-ის აუდიტის მიდგომისთვის დამახასიათებელი გამოყენებითი სახელმძღვანელოებითა და პრაქტიკული ინსტრუმენტებით. ამასთან, ჩვენ ვითთვალისწინებთ საქართველოს სპეციფიკურ მახასიათებლებს, რაც უზრუნველყოფს ყველა შესაბამისი ეროვნული მარეგულირებელი მოთხოვნის სრულ და სათანადო შესრულებას.

მიუხედავად იმისა, რომ მეთოდოლოგია ეფუძნება ძლიერ და სტაბილურ ჩარჩოს, იგი ამავე დროს ინარჩუნებს საკმარის მოქნილობას, რათა ადაპტირდეს ხელოვნური ინტელექტის, მონაცემთა ანალიტიკისა და მარეგულირებელი გარემოს განვითარებასთან. აღნიშნულ შესაძლებლობას აქტიურად ვიყენებთ აუდიტის ხარისხისა და ეფექტიანობის უწყვეტი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად.

RSM Orb განსაზღვრავს გარიგების ხარისხის კონტროლის მიმოხილვებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს და, საჭიროების შემთხვევაში, ითვალისწინებს სავალდებულო კონსულტაციებს წევრი ფირმის აუდიტის, ეთიკისა და დამოუკიდებლობის ხელმძღვანელებთან ან მათ მიერ დანიშნულ წარმომადგენლებთან, ასევე სხვა შესაბამის კვალიფიციურ პარტნიორთან.

RSM Orb შეესაბამება შემდეგ მოთხოვნებს:

- აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IAASB) მიერ გამოცემული ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტები;
- IAASB-ის მიერ გამოცემული აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები (ISA);
- IAASB-ის მიერ გამოცემული აუდიტის პრაქტიკის საერთაშორისო სახელმძღვანელოები;
- RSM-ის ხარისხის უზრუნველყოფისა და რისკების მართვის პოლიტიკები.

ჩვენს მიერ გამოყენებული აუდიტის დოკუმენტირების პროგრამული უზრუნველყოფა მიზნად ისახავს აუდიტის პროცესის მკაფიოდ სტრუქტურირებულ წარმართვას, რაც მომხმარებელს აძლევს შესაძლებლობას იმუშაოს ეფექტიანად, ხოლო მიმოხილვის პროცესი გახდეს მეტად მარტივი, გამჭვირვალე და მოსახერხებელი.

„სრულყოფილების ცენტრები“ - Centers of Excellence

ჩვენი სრულყოფილების ცენტრები ქმნის მყარ საფუძველს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან თანხვედრისა და მისი დანერგვისთვის. მათი ძირითადი ფოკუსია პროფესიული შესაძლებლობების განვითარება და მომსახურების ხარისხის სისტემური გაუმჯობესება საერთაშორისო მასშტაბით.

ტექნოლოგიაზე დაფუძნებული გარიგება

ქსელის ფარგლებში ხელმისაწვდომია თანამედროვე და მაღალი დონის ტექნოლოგიები, რომლებიც გამოიყენება მონაცემთა ანალიზისთვის, კომუნიკაციისთვის, პროექტების მართვისა და შედეგების წარდგენისათვის.

ჩვენი ტექნოლოგიები

RSM საქართველოში ვიყენებთ თანამედროვე ტექნოლოგიების ერთობლიობას, რათა გავზარდოთ აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურებების ეფექტიანობა და ხარისხი. ქვემოთ წარმოდგენილია ჩვენს საქმიანობაში გამოყენებული ძირითადი გადაწყვეტების მოკლე მიმოხილვა, რომლებიც ჩვენი სამუშაო პროცესის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და მიზნად ისახავს კლიენტებისთვის მაღალი ხარისხისა და ანალიტიკურად ღირებული აუდიტორული მომსახურების უზრუნველყოფას.

RSM Luca

RSM Luca წარმოადგენს RSM-ის გლობალური ციფრული აუდიტის ეკოსისტემას, რომელიც აუდიტორებს საშუალებას აძლევს ეფექტიანად დამუშავონ დიდი მოცულობის ფინანსური მონაცემები. იგი ახდენს აუდიტის პროცესის ოპტიმიზაციას, ამცირებს მონაცემთა ხელით დამუშავების საჭიროებას და აუდიტორებს აძლევს შესაძლებლობას მეტი ყურადღება გამახვილონ ანალიტიკურ შეფასებებსა და პროფესიულ განსჯაზე.

RSM Luca ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ანალიზის მეშვეობით გვაძლევს საშუალებას, მომხმარებლებს შევთავაზოთ სიღრმისეულ და ღირებულებაზე ორიენტირებული პროფესიული ხედვები.

ინტეგრირებული, მოწინავე ტექნოლოგიებისა და ოპტიმიზებული პროცესების ერთობლიობით, RSM Luca აძლიერებს კლიენტის საქმიანობის სიღრმისეულ გაზრდას და ქმნის პროგრესულ, მომავალზე ორიენტირებულ ხედვებს, რაც ხელს უწყობს მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევასა და უწყვეტ ინოვაციას.

RSM Luca აძლევს ჩვენს პროფესიონალ გუნდს შესაძლებლობას განახორციელოს თანამედროვე, ციფრული, მაღალი ხარისხის და ინდივიდუალურად მორგებული აუდიტი, რომელიც მუდმივად ცვალებად გარემოში ქმნის მეტ სიცხადესა და აძლიერებს ნდობას.

RSM Luca აძლიერებს ჩვენი გუნდების თანამშრომლობის ეფექტიანობას, რაც საშუალებას აძლევს კლიენტს, მიიღოს უფრო გაზრდული და სანდო ბიზნესგადაწყვეტილებები

RSM Luca აჩქარებს კლიენტის უნიკალური მონაცემების გამოვლენას, გადამოწმებასა და ანალიზს მოქნილი მიდგომებით, რაც გვაძლევს შესაძლებლობას უკეთ დავაკავშიროთ რთული ინფორმაცია.

კლიენტების ბიზნესის ციდნის შერწყმით ჩვენს ტექნიკურ, საშუალო ბაზრისა და ინდუსტრიულ გამოცდილებასთან, RSM Luca გვაძლევს საშუალებას შევიმუშაოთ უფრო ღრმა ანალიტიკური ხედვები და უზრუნველვყოთ კლიენტისთვის ინდივიდუალურად მორგებული აუდიტის გამოცდილების მიწოდება.

სისტემა ამარტივებს და ამდიდრებს კლიენტების აუდიტის გამოცდილებას და ხელს უწყობს ინოვაციას. RSM Luca მუდმივად ვითარდება, რადგან ვეძებთ ეფექტიანობის გაუმჯობესებისა და ანალიტიკური ხედვის გაღრმავების ახალ და ინოვაციურ გზებს.
RSM Luca გვაძლევს შესაძლებლობას მუდმივად განვავითაროთ და გავაუმჯობესოთ ჩვენი კლიენტების აუდიტის გამოცდილება, რათა იგი შეესაბამებოდეს ბაზრის ცვალებად საჭიროებებსა და მოლოდინებს და შეგვინარჩუნოს წამყვანი პოზიცია გლობალური მარწმუნებელი მომსახურებების მიწოდებაში.

CaseWare

CaseWare არის ძლიერი აუდიტორული პროგრამული უზრუნველყოფა, რომელსაც ვიყენებთ ჩვენს აუდიტის მეთოდოლოგიასთან ერთად. იგი უზრუნველყოფს რთული პროცესების ავტომატიზაციას, ზრდის აუდიტის სიზუსტეს, აუმჯობესებს ეფექტიანობას და ამცირებს ხელით შესრულებული სამუშაოს მოცულობას.
CaseWare სრულად თავსებადია ჩვენს გლობალურ აუდიტის მეთოდოლოგიასთან, რომელიც საერთო სტანდარტს წარმოადგენს RSM-ის ფირი ფირმებისთვის და მიზნად ისახავს საერთაშორისო აუდიტის სტანდარტებთან და ინდუსტრიულ რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას.

Inflo Collaborate

Inflo Collaborate არის თანამშრომლობაზე ორიენტირებული პლატფორმა, რომელიც აუმჯობესებს კომუნიკაციას აუდიტორებსა და კლიენტებს შორის. ეს ინსტრუმენტი უზრუნველყოფს დოკუმენტებისა და მონაცემების უსაფრთხო, რეალურ დროში გაზიარებას, რაც გუნდებს ეხმარება იყონ მუდმივად დაკავშირებულნი და უფრო ეფექტიანად იმუშაონ.
დოკუმენტების გაცვლისა და თანამშრომლობის პროცესის გამარტივებით, Inflo Collaborate უზრუნველყოფს უფრო შეუფერხებელ, ეფექტიან და უსაფრთხო აუდიტის გამოცდილებას.

კონფიდენციალურობა

RSM-ში კონფიდენციალურობის დაცვა ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია. კარგად გვესმის ნდობა, რომელსაც კლიენტები გვიცხადებენ, და ვიღებთ პასუხისმგებლობას, რომ მათი სენსიტიური ინფორმაცია უსაფრთხოდ დავიცვათ.
ყველა პარტნიორი და თანამშრომელი იცავს კონფიდენციალურობის მკაცრ წესებს, რაც რეგულარული შიდა ტრენინგებითა და შესაბამისობის კონტროლით არის გამყარებული. ამის შედეგად, როგორც კლიენტების, ისე ფირმის ინფორმაცია მუშავდება მაქსიმალური სიფრთხილითა და კონფიდენციალურობის დაცვით, ჩვენი ეთიკური სტანდარტებისა და სამართლებრივი მოთხოვნების შესაბამისად.

მონაცემთა დაცვის რეგულაციებთან შესაბამისობა

მონაცემთა დაცვას ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. სრულად ვიცავთ პერსონალური მონაცემების დაცვის ზოგად რეგულაციას (GDPR) და ყველა შესაბამის კანონმდებლობასა და რეგულაციას. უზრუნველვყოფთ, რომ პერსონალური მონაცემები დამუშავდეს კანონიერად, გამჭვირვალედ და დაცულად მათი შეგროვებიდან შენახვამდე.
ჩვენი მიდგომები და პროცესები მუდმივად გადიხედება, რათა შეესაბამებოდეს რეგულაციების ცვლილებებს. თანამშრომლები რეგულარულად გადიან ტრენინგებს, რაც მათ ეხმარება მონაცემთა დაცვის საუკეთესო პრაქტიკის დაცვაში და ამცირებს არასანქცირებული წვდომისა და მონაცემთა დარღვევის რისკს.

ინფორმაციული უსაფრთხოების მართვა

RSM-ში დანერგილია ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის ძლიერი სისტემა (ISMS), რომელიც უზრუნველყოფს როგორც კლიენტების, ისე კომპანიის მონაცემების დაცვას პოტენციური საფრთხეებისგან. სისტემა მოიცავს უსაფრთხო კომუნიკაციის არხებს, დაშიფვრის ტექნოლოგიებსა და მონაცემთა უსაფრთხო შენახვის გადაწყვეტილებებს.
ჩვენ რეგულარულად ვატარებთ რისკების შეფასებას, რათა გამოვავლინოთ შესაძლო მოწყვლადობები და მუდმივად გავაუმჯობესოთ ჩვენი უსაფრთხოების ზომები.

ამასთან, ჩვენი თანამშრომლები რეგულარულად გადიან ტრენინგებს კიბერუსაფრთხოების უახლეს საფრთხეებსა და საუკეთესო პრაქტიკებზე, რაც უზრუნველყოფს, რომ თითოეული თანამშრომელი მზად იყოს ჩვენი სისტემების უსაფრთხოების მაღალი დონის შესანარჩუნებლად.
RSM საქართველომ წარმატებით ჩატარებული წლიური ზედამხედველობის აუდიტის შემდეგ, შეინარჩუნა ISO 27001 სერტიფიკატი. აღნიშნული სერტიფიკატი კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენს ერთგულებას ინფორმაციული უსაფრთხოების მაღალი სტანდარტების მიმართ და აძლიერებს კლიენტების ნდობას ჩვენი მომსახურებების მიმართ.

2025 წლის გამჭირვალობის ანგარიში|ხარისხის უზრუნველყოფა და რისკების ზედამხედველობა

მონიტორინგი

მონიტორინგი და წევრი ფირმების ინსპექტირების პროგრამა

როგორც RSM-ის ქსელის წევრი ფირმა, ვალდებულნი ვართ დავნერგოთ და განვახორციელოთ მონიტორინგის პროცესი, რათა უზრუნველვყოთ, რომ ჩვენი ხარისხის მართვის სისტემა იყოს სათანადო, ეფექტიანი და სრულ შესაბამისობაში RSM-ის გლობალურ სტანდარტებთან, მოლოდინებთან და ყველა შესაბამის პროფესიულ და მარეგულირებელ მოთხოვნასთან.

აღნიშნული პროცესი მოიცავს ინსპექტირების პროგრამის დაგეგმვასა და განხორციელებას, რომელიც უზრუნველყოფს სისტემის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირის მხარდაჭერას და საშუალებას აძლევს მას შეაფასოს, რამდენად ეფექტურად აღწევს სისტემა დასახულ მიზნებს.

პროგრამა უზრუნველყოფს შესაბამისობას RSM-ის ზოგად ხარისხის მართვის პოლიტიკებთან ყველა მომსახურების მიმართულებით, მათ შორის მარწმუნებელი (Assurance), საგადასახადო (Tax) და რისკების საკონსულტაციო (Risk Advisory) მომსახურებებში, და აკონტროლებს RSM-ის ეთიკისა და დამოუკიდებლობის პოლიტიკებთან შესაბამისობას.
გარდა ამისა, იგი მოიცავს RSM-ის ხარისხის უზრუნველყოფისა და რისკების მართვის (QARC) პოლიტიკებით განსაზღვრულ ყველა სპეციალურ მოთხოვნას.

ჩვენი მონიტორინგი მოიცავს უწყვეტ შეფასებებს, რომლებიც მიზნად ისახავს ჩვენი ხარისხის მართვის სისტემის ეფექტიანობის განსაზღვრას და უზრუნველყოფს მის შესაბამისობას როგორც RSM-ის მოლოდინებთან, ისე მარეგულირებელ სტანდარტებთან.
ხარისხთან დაკავშირებული პრობლემების გამოვლენის შემთხვევაში, ვატარებთ ძირეული მიზეზების ანალიზს, რათა განვსაზღვროთ გამომწვევი ფაქტორები და განვახორციელოთ მიზნობრივი აღმომფხვრელი ღონისძიებები.
ინსპექტირების შედეგები, მათ შორის გამოვლენილი ხარვეზები და მიღებული მაკორექტირებელი ზომები, დეტალურად დოკუმენტირდება საბოლოო ინსპექტირების ანგარიშში და წარედგინება RSM-ის გლობალურ აღმასრულებელ ოფისს (GEO). აღნიშნული ანგარიში ასევე მოიცავს შეფასებას განხორციელებული პროცესის, მიღებული შედეგებისა და იმ გეგმების შესახებ, რომლებიც მიზნად ისახავს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრას.

ამ მიდგომის მეშვეობით, ჩვენ ვინარჩუნებთ რწმენას, რომ ჩვენი ხარისხის მართვის სისტემა ფუნქციონირებს ეფექტიანად, სრულ შესაბამისობაშია ყველა შესაბამის მოთხოვნასთან და ორიენტირებულია უწყვეტ გაუმჯობესებაზე ყველა მომსახურების მიმართულებით.

ჩვენი უახლესი შიდა ინსპექტირების ანგარიში დასრულდა 2025 წელს.

ჩვენი ხარისხის მართვის სისტემის ეფექტიანობის წლიური შეფასება

ISQM 1-ის მოთხოვნების შესაბამისად, მმართველმა პარტნიორმა, რომელსაც აკისრია საბოლოო პასუხისმგებლობა ხარისხის მართვის სისტემაზე (SoQM), განახორციელა სისტემის ეფექტიანობის ყოვლისმომცველი შეფასება. აღნიშნული შეფასება ეფუძნებოდა წლის განმავლობაში განხორციელებული მონიტორინგის საქმიანობის შედეგებს.
2025 წლის 15 დეკემბრით დათარიღებული წლიური შეფასების დასკვნის მიხედვით, RSM საქართველოს ხარისხის მართვის სისტემა გვაძლევს საფუძვლიან რწმენას, რომ სისტემისთვის განსაზღვრული მიზნები დამაკმაყოფილებლად სრულდება.

გლობალური ინსპექტირების პროგრამა

RSM-ის ქსელის მოთხოვნების შესაბამისად, თითოეული წევრი ფირმა ვალდებულია შექმნას და დანერგოს საკუთარი ინსპექტირების პროგრამა RSM-ის წევრი ფირმების ინსპექტირების პოლიტიკების შესაბამისად.
გლობალური ინსპექტირების პროგრამის ფარგლებში, RSM International კოორდინაციას უწევს ინსპექტირებებს, რომლებიც ტარდება გლობალური ინსპექტირების გუნდების მიერ. აღნიშნული გუნდები დაკომპლექტებულია RSM-ის წევრი ფირმების წარმომადგენლებით და, საჭიროების შემთხვევაში, გლობალური აღმასრულებელი ოფისის (GEO) წარმომადგენლებით.
ინსპექტირებები ტარდება არაუმეტეს სამწლიანი ციკლით თითოეული წევრი ფირმისთვის. ამასთან, გლობალური ინსპექტირების დაგეგმვა და დამტკიცება ხორციელდება გლობალური ხარისხის კომიტეტის (GQC) მიერ, რომელსაც ასევე აქვს უფლებამოსილება, საჭიროების შემთხვევაში, მიიღოს გადაწყვეტილება კონკრეტული წევრი ფირმის უფრო ხშირი ინსპექტირების შესახებ, ვიდრე სტანდარტული სამწლიანი ციკლი.

პროგრამის მასშტაბი მოიცავს წევრი ფირმის ხარისხის მართვის სისტემის შეფასებას, ასევე გაწეული პროფესიული მომსახურებების შეფასებას, როგორიცაა ფინანსური ანგარიშგებების აუდიტი და მიმოხილვა, მარწმუნებელი და არამარწმუნებელი მომსახურებები.

ჩვენი კომპანიის უახლესი გლობალური ინსპექტირება განხორციელდა 2023 წელს.

გარე ინსპექტირებები

შიდა შეფასებების გარდა, ჩვენი ფირმა ასევე ექვემდებარება მარეგულირებელი ორგანოების მიერ განხორციელებულ გარე ინსპექტირებებს პროფესიული სტანდარტების შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ფირმის აუდიტის პრაქტიკა განსაკუთრებით ექვემდებარება ხარისხის კონტროლის შემოწმებებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ. ჩვენი ფირმის მიმართ სამსახურის მიერ განხორციელებული ბოლო ინსპექტირება დასრულდა 2023 წელს.
2024 წლის 12 თებერვალს სამსახურმა ფირმა დააჯარიმა კლიენტის მიერ შეტანილი საჩივრის საფუძველზე აუდიტის დროულად დაუსრულებლობას გამო, თუმცა აღნიშნული გადაწყვეტილება შემდგომში შეჩერდა მანამ, სანამ აღნიშნულ საქმეზე სასამართლოს მიერ გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილება არ შევა კანონიერ ძალაში.



RSM საქართველოს ქმედებები მდგრადი განვითარების მხარდასაჭერად

გლობალური მდგრადი განვითარების მიზნებთან შესაბამისობა

როგორც RSM-ის ქსელის ნაწილი, ჩვენ ვრჩებით გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) ერთგულნი და ვხელმძღვანელობთ მათი გლობალური სტრატეგიული მიმართულებებით. კერძოდ, მხარს ვუჭერთ მიზნებს, რომლებიც მოიცავს ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას, ხარისხიან განათლებას, გენდერულ თანასწორობას, ღირსეულ შრომასა და ეკონომიკურ ზრდას, ასევე ინდუსტრიას, ინოვაციასა და ინფრასტრუქტურას.
აღნიშნული მიზნები განსაზღვრავს ჩვენს ძალისხმევას, რათა დადებითი გავლენა მოვახდინოთ როგორც ადგილობრივ, ისე გლობალურ საზოგადოებაზე. ქვემოთ წარმოდგენილია ის ძირითადი ინიციატივები, რომლებიც ამ მიზნებთან შესაბამისობაში განვახორციელეთ.

გლობალური მდგრადი განვითარების მიზნებთან თანხვედრაში, ვისწრაფვით, ჩვენი წვლილი შევიტანოთ უკეთესი მომავლის შექმნაში განათლების განვითარების, საზოგადოებრივი ჩართულობის გაძლიერებისა და სოციალური პასუხისმგებლობის ხელშეწყობის გზით. აღნიშნული ინიციატივები წარმოადგენს ჩვენი სტრატეგიული ხედვის მნიშვნელოვან ნაწილს და ასახავს მტკიცე ერთგულებას, შევქმნათ პოზიტიური გავლენა საზოგადოებაზე და აქტიურად დავუჭიროთ მხარი მეტად მდგრადი სამყაროს ფორმირებას.

განათლება: მომავალი ლიდერების გაძლიერება

RSM საქართველოში ვაცნობიერებთ მომავალი ლიდერების განვითარებაში ინვესტირების მნიშვნელობას და შესაბამისად, განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ ახალგაზრდების მხარდაჭერას. ჩვენი აქტივობები მოიცავს საქართველოს წამყვან სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით ორგანიზებულ კარიერულ გამოფენებში მონაწილეობას, ასევე სტუდენტებისთვის პროფესიული განვითარების მიმართულებით მენტორობის გაწევას.
RSM საქართველოში გვჯერა, რომ მდგრადი განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული ინოვაციებთან და ტექნოლოგიურ პროგრესთან. გრძელვადიანი შედეგების მისაღწევად, ჩვენი სტრატეგია აერთიანებს ციფრულ ტრანსფორმაციას, მონაცემებზე დაფუძნებულ ანალიზს და შესაძლებლობების განვითარებას მდგრადობის მიმართულებით. მუდმივად ვეძებთ და ვნერგავთ ინოვაციურ ინსტრუმენტებსა და მიდგომებს, რომლებიც აუდიტის ხარისხის გაუმჯობესებას, ეფექტიანობის ზრდასა და გარემოზე ზემოქმედების შემცირებას ემსახურება. ამ მიზნით, აქტიურად ვიყენებთ ღრუბლოვან (cloud-based) პლატფორმებს, ციფრულ დოკუმენტბრუნვასა და ავტომატიზებულ ანალიტიკურ სისტემებს, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ქაღალდის მოხმარებას და ხელს უწყობს რეალურ დროში ეფექტიან თანამშრომლობას.

ჩვენი მზადყოფნა მომავლისთვის ასევე მოიცავს ჩვენი თანამშრომლების უნარების განვითარებას სწრაფად ცვალებად ბიზნესგარემოში. უწყვეტი სწავლების პროგრამების, ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ვორქშოფებისა და RSM-ის გლობალურ ინიციატივებში მონაწილეობის გზით, ჩვენი პროფესიონალები ფლობენ თანამედროვე ცოდნას ისეთ მიმართულებებში, როგორიცაა მონაცემთა ანალიტიკა, ESG ანგარიშგება და ხელოვნური ინტელექტი. აღნიშნული ინიციატივები უზრუნველყოფს, რომ RSM საქართველო დარჩეს სანდო მრჩევლად იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ერთდროულად ისწრაფვიან ფინანსური წარმატებისა და მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევისკენ.

ასევე ვუწყობთ ხელს ინოვაციის განვითარებას უნივერსიტეტებთან და კვლევით ინსტიტუტებთან თანამშრომლობის გზით, ვუჭერთ რა მხარს პროექტებს, რომლებიც მიმართულია მდგრადი ფინანსების, განახლებადი ენერგიისა და ციფრული მმართველობის ხელშეწყობისკენ. აღნიშნული თანხვედრა ამცირებს აკადემიურ ცოდნასა და პრაქტიკულ რეალობას შორის არსებულ სივრცეს და აძლიერებს მომავალი თაობის პროფესიონალებს, შექმნან ეფექტიანი გადაწყვეტილებები საქართველოს გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური გამოწვევების საპასუხოდ.

RSM საქართველოში ვქმნით სამუშაო გარემოს, რომელიც გამოირჩევა სამართლიანობითა და თანამშრომელთა მხარდაჭერაზე ორიენტირებული კულტურით. ეს არის სივრცე, სადაც თითოეულ თანამშრომელს ეძლევა შესაძლებლობა განვითარდეს როგორც პროფესიულად, ისე პიროვნულად. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, აქტიურად ვახორციელებთ თანამშრომელთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის მხარდამჭერ ინიციატივებს, ვნერგავთ მოქნილ სამუშაო მოდელებს და ხელს ვუწყობთ მრავალფეროვნების ზრდას ლიდერულ პოზიციებზე. შედეგად, ჩვენი გუნდები არიან მეტად მოტივირებული და ჩართულნი და აგრეთვე მზად არიან ეფექტიანად უპასუხონ სწრაფად ცვალებადი გარემოს გამოწვევებს.

მრავალფეროვნება და ინკლუზია ჩვენს კომპანიაში წარმოადგენს არა მხოლოდ ეთიკურ პასუხისმგებლობას, არამედ მნიშვნელოვან სტრატეგიულ უპირატესობაც. განსხვავებული გამოცდილებებისა და პერსპექტივების დაფასებით, ვაძლიერებთ ინოვაციის კულტურას და ვზრდით ჩვენს შესაძლებლობას, კლიენტებს შევთავაზოთ მრავალმხრივი და სიღრმისეული ხედვები. ჩვენი მიზანია ისეთი გუნდის ჩამოყალიბება, რომელიც რეალურად ასახავს იმ საზოგადოებებს, რომლებსაც ვემსახურებით - გუნდი, რომელიც ერთობლივი ძალისხმევით, ურთიერთგაგებითა და საერთო მიზნების გარშემო გაერთიანებით ქმნის პოზიტიურ ცვლილებებს.

ფინანსური ინფორმაცია და შედეგები

შემოსავლები

საზოგადოებრივი დაინტერესების პირის სტატუსის (სდპ) მქონე საწარმოთა სია და მათთვის გაწეული მარწმუნებელი მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი

დასახელება	თანხა (ლ)
შპს "ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯია"	38,135.59
სს მისო "ჯი-აი-სი"	21,440.68
შპს მისო "B კრედიტი"	19,000.00
შპს "გირო კრედიტი "	22,881.36
სს "სადაზღვევო კომპანია უნისონი"	67,796.61
სს "სადაზღვევო კომპანია ავტოგრაფი" (არდი)	70,000.00
სს "სადაზღვევო კომპანია პრაიმი"	76,271.19
სს "ჰეშ ბანკი"	23,728.81
შპს "მსო მონეტა ექსპრეს ჯორჯია"	23,000.00
სს "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი"	64,900.00
შპს "ეკოსერვის ჯგუფი"	33,889.83
სს "თ. ცერცვაძის სახელობის ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრი"	42,288.14
შპს "ვარდნილჰესების კასკადი"	34,000.00
შპს "ენგურჰესი"	67,711.87
ჯამი	605,044.08

ჯამური შემოსავლები მომსახურების სახე	შემოსავალი (ლარი)	%
აუდიტი და მარწმუნებელი გარიგებები		
1. ფინანსური ანგარიშგების აუდიტი	2,242,398	50.2%
–საზოგადოებრივი დაინტერესების პირები	605,044	
– სავალდებულო აუდიტი	1,269,916	
– არასავალდებულო აუდიტი	367,438	
2. შეთანხმებული პროცედურები	75,348	1.7%
3. ISAE 3000 სერვისები	143,390	3.2%
4.სხვა აუდიტორული მომსახურებები	337,475	7.6%
5. საშემფასებლო მომსახურებები	158,926	3.6%
სხვა არააუდიტორული მომსახურებები		
1. ბუღალტრული აუთსორსინგი	689,952	15.5%
2. საგადასახადო სერვისები	654,451	14.7%
3. სხვა არამარწმუნებელი მომსახურებები	161,759	3.6%
ჯამი	4,463,699	

Coming together as one team is among the advantages our clients value the most since it makes communication easier. As a highly interconnected organisation, we delve deep into clients' needs and aspirations through collaborative efforts to find optimal solutions while assisting in decision-making processes.

RSM Georgia



გლობალური წარმომადგენლობა

გლობალური წარმომადგენლობა

RSM-ს ჰყავს წევრი და პარტნიორი ფირმები შემდეგ ქვეყნებში:

აფრიკა

ალჟირი
ანგოლა
ბოცვანა
ჩადი
ესვატინი
ეთიოპია
გაბონი
კოტ- დიუვარი
კენია მალავი
მავრიკი
მაროკო
მოზამბიკი
ნიგერია
სენეგალი
სამხრეთ აფრიკა,
ტუნისი
ტანზანია
უგანდა
ზამბია
ზიმბაბვე

აზია- Pacific

ავღანეთი
ავსტრალია
ბანგლადეში
კამბოჯა
ჩინეთი ჰონგ-კონგი
SAR ინდოეთი
ინდონეზია
იაპონია კორეა
მმალაიზია
ახალი ზელანდია
პაკისტანი
ფილიპინები
სინგაპური
შრი-ლანკა
ტაივანი
ტაილანდი
ვიეტნამი

ევროპა

ალბანეთი ანდორა
ავსტრია აზერბაიჯანი
ბელგია ბულგარეთი
ხორვატია საქართველო
ჩეხეთის რესპუბლიკა
დანია საფრანგეთი
გერმანია
გიბრალტარი საბერძნეთი
უნგრეთი ირლანდია
(რესპუბლიკა) მენის კუნძული
ისრაელი იტალია
ყაზახეთი კოსოვო
ყირგიზეთი
ლუქსემბურგი მალტა
ნიდერლანდები
ჩრდილოეთ მაკედონია
ნორვეგია პოლონეთი
პორტუგალია
რუმინეთი სერბეთი
სლოვაკეთი ესპანეთი
შვედეთი შვეიცარია
ტაჯიკეთი თურქეთი
უკრაინა
გაერთიანებული სამეფო
უზბეკეთი

ლათინური ამერიკა

არგენტინა ბაჰამის
კუნძულები
ბოლივია ბრაზილია
კაიმანის კუნძულები
ჩილე კოლუმბია
კოსტა რიკა
დომინიკის რესპუბლიკა
ეკვადორი ელ სალვადორი
გვატემალა
ჰონდურასი
მექსიკა
ნიკარაგუა
პანამა
პარაგვაი პერუ
პუერტო-რიკო
ურუგვაი
ვენესუელა

ახლო აღმოსავლეთი და ჩრდილოეთ აფრიკა

ბაჰრეინი
ჩადი
ეგვიპტე
გაბონი
ერაყი
იორდანია
ქუვეითი
ლიბანი
მავრიტანია
მოროკო
ომანი
პალესტინა
ყატარი
საუდის არაბეთი
სენეგალი
ტუნისია
არაბეთის გაერთიანებული
ემირატები

ჩრდილოეთ ამერიკა

კანადა
ამერიკის შეერთებული შტატები

თბილისის ოფისი
ზ.ფალიაშვილის ქ. 85,თბილისი, 0162, საქართველო,T.: +995 (32) 2 55 88 99

THE POWER OF BEING UNDERSTOOD
ASSURANCE | TAX | CONSULTING

mail@rsm.ge
rsm.global/georgia

RSM Georgia Ltd is a member of the RSM Network and trades as RSM. RSM is the trading name used by the members of the RSM Network. Each member of the RSM Network is an independent assurance, tax and consulting firm each of which practices in its own right. The RSM network is not itself a separate legal entity of any description in any jurisdiction. The RSM Network is administered by RSM International Limited, a company registered in England and Wales (company number 4040598) whose registered office is at 50 Cannon Street, London EC4N 6JJ. The brand and trademark RSM and other intellectual property rights used by members of the Network are owned by RSM International Association, an association governed by article 60 et seq of the Civil Code of Switzerland whose seat is in Zug. © RSM Georgia Ltd, 2025